პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26,
ტელეფონი 5—43.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 217 შაბათი, 22 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250.000 მან. № 217

დღიური

— გერმანიაში ხდება მუშათა რაზმების დემონსტრაციები.

— გერმანიის ერთ ოლქში დაიწყო საერთო გაფიცვები, რომელსაც მთავრობა საალყო წესების გამოცხადებით უპასუხა.

— ერთა ლიგას აზრით, იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

— წყალდიდობამ ქალაქ ტოტორში (იაპონიაში) იმსხვერპლა 300,000 კაცი.

— ბულგარეთის ჯარი შეიჭრა სამხრეთ სლავიის საზღვრებში.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში

წევრათ ჩაწერა სწარმოებს ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი № 22) 12-დან ნაშუადღევის სამ საათამდე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ამხ. მარგანიძესთან. საწევრო გადასახადი—სამი ჩერვონეცის მანეთი. საწევრო გადასახადის შეტანა შეიძლება სამ ნაწილად. წითელ-არმიელები და მეთაურთა შემადგენლობა იხდის 9 კაპეიკს (ჩერვონეცის ანგარიშით).

საორგანიზ. კომისიის თავმჯდომარე: მ. ესსენი.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საყურადღებოდ

საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, 24-დან 30 სექტემბრამდე სექციის ბიუროს ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 37) საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილ. სექციის

წევრების პერერეგისტრაცია.

ისინი, ვინც პერერეგისტრაციაზე არ გამოცხადდებიან, სექციიდან და კავშირიდან გამორიცხულად ჩაითვლება.

ყველა ცნობებისათვის მიმართეთ სექციის რწმუნებულებს.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი: **შავერდოვა.**
საორგ. განყ. გამგე: **მექმარიაშვილი.**
ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექც. პასუხისმგ. მდივანი: **გიულიუმიანი.**

სრულიად საქ. სავეტერინარო ყრილობა

საქართველოს საექიმო-სასანიტარო დარგის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალი გამგეობა ამით აცხადებს, რომ **კვირას, ამა წლის 23 სექტემბერს**, დღის 12 საათზე პროფკავშირის მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე)

გაიხსნება

საქართ. სავეტერინარო დარგში მომუშავეთა ყრილობა.

პას. მგ. მდივანი გოგიბერიძე.
ვეტსექციის საორგ. ბიუროს მდივანი მახათაძე.

625 2—1

მუშათა ფაკულტეტზე

(რუსულ და ქართულ განყოფილებაში) შესვლის მსურველთ **განცხადებების მიღება შესწყდება** სექტემბრის 22-ს სამანდატო კომისიის სხდომა მოხდება სექტემბრის 24-ს, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დილის 9 საათზე.

სამანდატო კომისიის წევრი მ. ესსენი.

თეთრი ემიგრაციის კიდევ ერთი სასტიკი დამარცხება

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებისა და თეთრგვარდიელთა ლიკვიდაციის შემდეგ უცხოეთს მიაშურეს და შემოაფარეს მას თავი კონტრრევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა, მათმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, მემამულეებმა და ბურჟუებმა, ერთი სიტყვით ყველამ, ვინც „უხერხულათ“ „იგრძნო თავი“ ახალ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში და დროზე მოასწრო გაქცევა. დამარცხებულებმა შინაურ და საგარეო სამხედრო ფრონტებზე, მათ, რასაკვირველია, მთლათ არ დაჰყარეს იარაღი და განაგრძობდენ დღემდე, აწარმოებენ ახლაც, ანტისაბჭოთა კამპანიას საზღვარ-გარეთ. ისინი ფართოთ სარგებლობენ არა მარტო იმ ორგანიზაციული შესაძლებლობით და მატერიალური რესურსებით, რომლებიც მათ შერჩათ უცხოეთში „დაბარგების“ შემდეგ, არამედ ძველი იმპერიის იმ საელჩო, საკონსულო და სხვა აპარატებითაც, რომლებიც განაგრძობდენ „მუშაობას“ უცხოეთის სახელმწიფოებში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, სარგებლობდენ რა უზურპატორულათ თავიანთ ძველი მდგომარეობით. მაგრამ რაც დრო მიდის და მტკიცდება საბჭოთა კავშირის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა, ეს ორგანოები თანდათან უქმდებიან, უკეთესათ რომ ვთქვათ, მათ აუქმებენ ყველა ის სახელმწიფოები, რომლებიც ნორმალურ ურთიერთობას ამყარებენ საბჭოთა სახელმწიფოებთან. ასე მოხდა გერმანიაში, ავსტრიაში, ამერიკაში და მთელ რიგ სახელმწიფოებში, სადაც მთელი ქონება საელჩო და საკონსულო წარმომადგენლობათა გადავიდა ან გადადის რუსეთისა და მის მოკავშირე ქვეყნების კანონიერ ხელისუფლების განკარგულებაში. ერთერთი ორგანიზაცია, რომელიც კიდევ შერჩენოდათ თეთრგვარდიელებს და სადაც ისინი დაუსჯელათ თარეშობდენ, იყო საზღვარგარეთ არსებული წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელიც იჩემებდა საერთაშორისო წითელი ჯვრის კავშირში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის უფლებას და უნდა ითქვას ისინი ახერხებდენ კიდევაც ამას, მიუხედავათ იმისა, რომ პარალელურათ არსებობდა და არსებობს საბჭოთა წითელი ჯვრის საზოგადოებაც.

კიდევ 1921 წელს წითელი ჯვრის საზოგადოებათა საერთაშორისო კონფერენციაზე, საბჭოთა წითელი ჯვრის საზოგადოებამ უარი განაცხადა მიეღო მონაწილეობა მის მუშაობაში სათათბირო ხმით, როგორიც მას მიანიჭეს მაშინ ისევე, როგორც თეთრგვარდიელთა წითელ ჯვარს. ამის გამო წარმომადგენელი უკანონო და უზურპატორული წითელი ჯვრის შეიქნა ფაქტიურათ აქტიური მონაწილე ამ კონფერენციის და მან მოახერხა ჩაეტარებია იქ, არსებითად არა პოლიტიკურ ყრილობაზე, უაღრესათ მწვავე პოლიტიკური კამპანია საბჭოთა რუსეთისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ.

მას შემდეგ განვლო ორმა წელმა და დღეს სულ სხვა სურათის წინ ვდგევართ. აგერ წინაზე დათავებულ წითელი ჯვრის საერთაშორისო მეთერთმეტე კონფერენციაზე მდგომარეობა რადიკალურათ შეიცვალა და თეთრგვარდიელები გაძევებული შეიქნენ ამ უკანასკნელი ოფიციალური თავშესაფარიდანაც. კონფერენციამ არა მარტო არ დაუშვა თავის სხდომებზე ტრადიციული წარმომადგენელი თეთრგვარდიელთა წითელი ჯვრის, ბ-ნი ლოდიჟანსკი, იმის მიზეზით, რომ მან **მონაწილეობა მიიღო ამხ. ვოროვსკის მოკვლაში,** არამედ ამ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციას მისცა მხოლოთ საშუალება დასწრებოდა ჩვეულებრივი სტუმრის უფლებით. საბჭოთა წითელი ჯვარი მიწვეული შეიქნა სხვა საზოგადოებებთან ერთათ თანასწორი (ე. ი. გადამწყვეტი ხმის) უფლებით, მაგრამ, რადგან თავის დროზე საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა შვეიცარიას, რომლის ტერიტორიაზე შეკრებილი კონფერენცია, ამიტომ რუსეთის წ. ჯვრის საზოგადოება, უკვე დანიშნული დელეგაციის მაგიერ, წარმოდგენილი შეიქნა კონფერენციაზე შვეიცარიაში მუდმივ მცხოვრებ ამხანაგის სახით. **თვით კონფერენციის შემადგენლობას** შემთხვევა მიეცა ოფიციალური სანქცია გაეკეთებია საბჭოთა წითელი ჯვრის კანონიერი წარმომადგენლობის მიღებისათვის, როდესაც ერთ კომისიაში ასარჩევ წევრის შესახებ დაისვა კითხვა, თუ რომელ საზოგადოებას უნდა გაეგზავნა ის. კონფერენციის თავმჯდომარემ, მოქ. ადორმა, სიტყვა სიტყვით განაცხადა შემდეგი: „ჩვენ ვიცნობთ აქ მხოლოთ ერთ წითელი ჯვრის საზოგადოებას რუსეთიდან, **საბჭოთა** წითელი ჯვრის საზოგადოებას“-ო.

ამნაირათ დასრულდა საერთაშორისო მასშტაბით ამ უკანასკნელი ექვსი წლის ბრძოლა წითელი ჯვრის მოღვაწეობის სფეროში საბჭოთა რუსეთის კანონიერ წარმომადგენლობისა და თეთრგვარდიელთა შორის, რომლებსაც „სცნობდა“ ევროპა დღემდე.

თუ ევროპის სხვადასხვა დიპლომატიური კონფერენციებზე მონაწილეობის ფაქტს ჩვენ მივუმატებთ იმ გარემოებას, რომ თვით უკანასკნელი ხუთი ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის წარმომადგენლებს უკვე ოფიციალურათ იწვევენ სხვადასხვა სპეციალურ სახელმწიფოებრივი ხასიათის კონგრესებზე (სახელმწიფო სტატისტიკა, საზღვაო და ხმელეთით მიმოსვლის საქმეები და სხვა), ნათელი იქნება საერთო სურათი იმის, რომ ძველი ევროპის მესვეურები იძულებული ხდებიან „მოითმინონ“ თავიანთ გვერდით ახალი ძალა, რომლის ჭეშმარიტ საბოლოო განძრახვებში მათ ოდნავადაც აღარ შესდით ეჭვი.

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა მტკიცდება შიგნი ისევე, როგორც გარეთ. და ამ სიმტკიცესა და ძლიერებას ის გამოიყენებს თავის დროზე იქ, სადაც ამისათვის მოუწოდებს მას ინტერესები საერთაშორისო პროლეტარიატისა და კომუნისტური რევოლიუციის.

საყოველთაო გაფიცვის ახალი ტალღა გერმანიაში

რევოლიუციონური კრიზისი გერმანიაში მწვავდება. მოულოდნელი ამაში არავისათვის არაფერია. პირიქით, როგორც შიგნი, ისე გერმანიის გარეთ, ყველა, მტრები და მეგობრები რევოლიუციის, წინასწარმეტყველებდენ და წინასწარმეტყველებენ დღესაც, რომ ჩვენ ვართ არსებული მდგომარეობის რადიკალურათ შეცვლის მოლოდინში. მდგომარეობა კი მერყევია.

კოალიციონური მთავრობა ბურჟუაზიისა და სოციალისტების, რომლის შედგენის დროსაც არავინ (თვით მისი მომხრეები) არ ფიქრობდა, რომ ის იქნება ხანგრძლივი, საბოლოოთ ააშკარავებს აბსოლიუტურ შეუძლებლობას გამოიყვანოს ქვეყანა იმ ჩიხიდან, რომელშიაც მომწყვდეული შეიქნა ის გარეშე და შინაურ მტაცებლების წყალობით.

ფინანსიური რეფორმა ახალი მთავრობის, თვით იმ შეკვეცილ ფარგლებშიაც, რომელზედაც შეძლოთ შეთანხმება კაბინეტის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას, ვერ აღწევს განძრახულ მიზანს მაგარი ვალიუტის მობილიზაციისა და ვაჭარ-მრეწველებისაგან გადასახადების აკრებისას მათი გააფთრებული წინააღმდეგობის გამო ამ რეფორმის მიმართ. ცხადია „რეფორმის“ შედეგათ ნავარაუდევი ეფექტი: მარკის კურსის დაცემის შეჩერება ან შესუსტება, რამდენადაც ამ რეფორმისაგან იქნებოდა დამოკიდებული ეს—შეუძლებელი შეიქნა. დღევანდელი რადიოს ცნობით ოფიციალური კურსი დოლარის უდრის 190 მილიონ მარკას, არა ოფიციალური კი, შავი ბირჟის—322 მილიონს. გასაკვირი არ არის ასეთ პირობებში მუშათა ხელფასის უეცრათ ძირს დაქანება, რასაც ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ სოფელმა დააკავა თავის ნაწარმოები, რომელსაც მეურნე ხელიდან არ უშვებს, რადგან უფასო ქაღალდს არ იღებს, რაც კიდევ უფრო ართულებს და ამწვავებს მდგომარეობას.

სამრეწველო დაწესებულებები იხურება, ათი ათასობით მუშა ხელი უმუშევარი რჩება სიმშილის კლანჭებში მომწყვდეული, სურსათი არსად სჩანს და კიდევაც რომ გამოჩნდეს, მას ვინ მისწვდება, გარდა შეძლებულ ერთეულებისა? და ყოველივე ამის დამატებით გასაწარკვეთილი მუშათა მასა თავისი თვალით ხედავს, რომ ბურჟუაზია, „ანარქიის“ მოლოდინში აშკარათ, ყველას დასანახათ, მობილიზაციას უკეთებს მთელ თავის ძალებს, ამრავლებს და ამაგრებს ფაშისტურ ორგანიზაციებს.

სურსათის უქონლობის ნიადაგზე ხდება საწყობებზე და მაღაზიებზე თავდასხმა, ხელფასის დაცემის ნიადაგზე—გაფიცვები, რომლებიც ედება ერთი კუთხიდან მეორეს და თანდათან საყოველთაო ხასიათს იღებს. ფაშისტების ალაგმვის მიზნით ეწყობა წითელი რაზმები. ამნაირათ ჩვენ შეუჩერებლივ ვუახლოვდებით დიდ ბრძოლებს გერმანიაში, რომლებიც, თუ განვითარდნენ ამ უაღრესათ სამრეწველო ქვეყნის რევოლიუციონური რესურსების მასშტაბით, მიგვიყვანს არა მარტო ცენტრალური, არამედ მთელი ევროპის „ფერისცვალებამდე“.

და ასეთი ამბების მოლოდინში ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით იმ პარტიის როლის გათვალისწინებას, რომელიც კიდევ საკმაოთ ძლიერია გერმანიის პროლეტარიატში და რომლის შტო პროფკავშირებში, მათი ბიუროკრატიის სახით, მძიმე ბორკილებათ ადევს გერმანიის რევოლიუციას. ცხადია, განვითარება ამ რევოლიუციისა და გამარჯვება მისი წარმოუდგენელია ამ მძიმე ხუნდების დალეწვის გარეშე. ბევრი ნიშანია იმისი—და ყველაზე უფრო თვალსაჩინო მათ შორის არის სოციალ-დემოკრატების ხშირათ მასიური გადასვლა კომპარტიის რიგებში,—რომ ეს პროცესი მიმდინარეობს პარალელურათ რევოლიუციონური კრიზისის გამწვავებასთან ერთათ. ბევრგან სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ცენტრის წინააღმდეგ, გამოდიან ერთიანი ფრონტით კომუნისტებთან. ამის მაგალითებს მკითხველი დღესაც ნახავს რადიო-დეპეშებში. ყოველდღიური ბრძოლა, საერთო მდგომარეობის გართულება პრაქტიკულათ ასწავლის რეფორმისტების მიმდევარ მასებს, რომ ამ საერთო ფრონტის გარეშე, ე. ი. ფაქტიურათ სოციალ-დემოკრატიის დაძლევისა და მისი კოალიციონური ტაქტიკის დაგმობის გარეშე, შეუძლებელია ბრძოლა არა მარტო დიდი ისტორიული აქტის ჩასატარებლათ, არამედ თვით ყოველდღიური ცხოვრების ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ, ადამიანურ პირობებში ჩასაყენებლათ.

მდგომარეობა, როგორც შიგნი ისე არა ნაკლებ თუ არა უფრო მეტათ, გართულებულია გარეთ. მის დასაძლევათ საკმაო არ არის ძალები მარტო გერმანიის პროლეტარიატის. გერმანიის ოქტომბერი მოითხოვს უფრო მეტ რევოლიუციონურ ენერგიას, მისი გასაქანი უფრო მეტ სივრცეს და მოვალეობა სწორეთ აქეთკენ მოუწოდებს დღეს საერთაშორისო პროლეტარიატს, გერმანიის რევოლიუციის დასახმარებლათ და გასამარჯვებლათ.

ჩვენი პრესის გარშემო

(სადისკუსიო)

„კომუნისტი“-ს **№ 214**-ში სადისკუსიო წესით მოთავსებულია ამხ. **ქ. ორაგველიძის** წერილი: „**ჩვენი პრესა**“, რომელშიც ავტორი არკვევს პრესის მნიშვნელობას და დანიშნულებას, აღნიშნავს ჩვენი გაზეთების დეფექტებს და მიუთითებს ზოგიერთ საშუალებაზე საგაზეთო საქმის უკეთ დასაყენებლად.

ამასთან ერთად „კომუნისტი“-ს რედაქცია მიმართავს ამხანაგებს, „გამოსთქვან თავიანთი აზრი ჩვენი პრესის, მისი ნაკლულევანებათა და მათი გამოსასწორებლად მისაღები ზომების შესახებ“.

პრესის როლი საერთოდ და კერძოდ ჩვენს პირობებში იმდენად მნიშვნელოვანია, მისი სათანადო დონეზე დაყენება იმდენად აუცილებელი, საჭირბოროტო და ამასთან რთული საქმეა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია გამოვეხმაუროთ რედაქციის მოწოდებას და შევიტანოთ ჩვენი წვლილი წამოყენებულ საკითხის გაშუქებაში.

I

გაზეთის იდეური მხარე.

თავისთავად ცხადია, რომ პოლიტიკური გაზეთი მარტო საინფორმაციო ფურცელი არ არის, მით უმეტეს ისეთი, როგორიც, მაგალითად, ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „კომუნისტი“.

ჩვენმა გაზეთმა ფართე იდეური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პარტიულ და მშრომელ მასას, გაუკვლიოს მას სავალი გზა მიმდინარე ცხოვრების მოვლენათა რთულ ხლართში, ხელი შეუწყოს მის კლასობრივ გათვითცნობიერებას.

ამას გაზეთი აღწევს უმთავრესად მოწინავე და საერთოდ პოლიტიკური ხასიათის წერილებით.

როგორაა დაყენებული, მაგ., „კომუნისტში“ ეს ნაწილი?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენი გაზეთი სისწორით და ბოლომდე ატარებს პარტიის ხაზს და რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისს. ის არ არის ჩვეული წაბორძიკებას და გადახვევას. ყოველი მისი გამოსვლა, თუნდაც წვრილმან საკითხების შესახებ, აღბეჭდილია მოვალეობის შეგნებით და პასუხისმგებლობის გრძნობით პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე. ამ მხრივ მას საყვედური არ ეთქმის.

რაც შეეხება პოლიტიკური ხასიათის წერილების სხვა მხარეებს, უნდა ვთქვათ შემდეგი: ამხ. ორაგველიძე ამბობს, რომ ასეთები „ჩვენ საკმაოდ გვაქვს და არც იზარებს არავინ დასწეროს წერილი პოლიტიკურ ტემაზე. ეს უფრო გვეხერხება“. *)

ეს რამოდენიმედ გადაჭარბებულადაა ნათქვამი. განა ყოველი ასე თუ ისე საყურადღებო მოვლენა შინაურ და საერთაშორისო პოლიტიკის ჰპოულობს გაშუქებას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე? შეიძლება დამტკიცებულ იქნას, რომ საკმაოდ მრავალი ასეთი მოვლენა რჩება შეუფასებელი და გაუნმარტებელი მკითხველისათვის.

ჩვენში პოლიტიკურ თემებზე ასე თუ ისე რიგიან წერილების დამწერთა რიცხვი საკმაოდ განსაზღვრულია. შეიძლება „მოხალისე“ ბევრი იყოს, „დაზარებასაც“ არ ჰქონდეს ადგილი (თუმცა ესეც საეჭვოა), მაგრამ თითზე ჩამოითვლებიან იგინი, ვისაც „ეხერხება“ საქმის სათანადოდ შესრულება.

შემდეგ ჩვენ გვინდა ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა ტემების შესახებ. მეთაური თუ სხვა პოლიტიკური წერილი გაზეთის ორგანიულ ნაწილს უნდა შეადგენდეს, და არა შემთხვევით და გარედან მიკოწიწებულ რამეს. ეს კი პირველ ყოვლისა მაშინაა შესაძლებელი, როცა წერილი აგებულია თვით საგაზეთო მასალაზე, როცა ის ეხება და აშუქებს იმ ფაქტებს, რომლებსაც მკითხველი ეცნობა თვით გაზეთში. საერთოდ ეს ასეც ხდება. მაგრამ იმის თქმა მაინც არ შეიძლება, რომ ამ მხრივ დეფექტებს არ ჰქონდეს ადგილი ჩვენს პრესაში.

თვით ტემების არჩევაში არ არის დაცული საჭირო პროპორცია. არის ტემები საშინაო ცხოვრების და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების შესახებ. ჩვენს გაზეთში მეტი ყურადღება ექცევა საერთაშორისო ამბებს და შედარებით ნაკლები საშინაო საკითხებს. ეს რამოდენიმედ ნაკარნახევია თვით სინამდვილით: საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები დღეს მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი არიან და მათი გარკვევა ჩვენი მკითხველისათვის ფრიად საჭიროა.

მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რევოლიუციისა და მუშათა კლასის გამარჯვებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს თვით ჩვენი შინაური ცხოვრების მოწყობას, წარმატებითი აღმშენებლობითი მუშაობას, მეურნეობის აღორძინებას და გაჯანსაღებას. და სწორედ აქეთკენ უნდა იქნეს გაზეთის მეტი ყურადღება მიქცეული, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების საკითხები. ჩვენი სინამდვილე ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში ამ მხრივ დიდ მასალას იძლევა, რომელსაც ესაჭიროება შესწავლა და გაშუქება. ჩვენი მრეწველობა, სასოფლო-მეურნეობა, ფინანსები, კოოპერაცია და მრავალი სხვა, მათი მდგომარეობა, პერსპექტივები, გზები და საშუალებები წარმატებისა ამ დარგებში,—ყველა ეს მადლიანი ტემებია წერილებისათვის. ჩვენი ეკონომიური სინამდვილის გაშუქების და ამით მისი აღორძინების საქმეში პრესამ უნდა შეასრულოს საკმაოდ დიდი როლი. ჩვენს გაზეთს ეს შეგნებული აქვს. და ამ ბოლო დროს ის კიდეც სდგამს შესაფერ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. ეკონომიური ხასიათის წერილებს უფრო ხშირად ვპოულობთ მის ფურცლებზე. მაგრამ ეს ცოტაა. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. ჩვენმა გაზეთმა უნდა შესძლოს ამ ნაკლის აშორება.

საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ შევჩერდეთ ზოგიერთ საკითხზე.

ჩვენი პარტიული მასის უმრავლესობა ვერ დაიტრაბახებს მარქსიზმის თეორიული საკითხების ცოდნას. ჩვენ ვერ ვიჩენთ საკმაო ინტერესს ასეთი საკითხებისადმი. ეს უეჭველად ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის მაჩვენებელია. ჩვენს გაზეთში გაშუქება მარქსიზმის ძირითადი დებულებების, მისი ფილოსოფიის და ეკონომიკის, **ახალი, დღევანდელი მასალების მიხედვით,** აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგებიდან მოკლე მიმოხილვების მოთავსება, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს გაზეთის გაუმჯობესებას, გაამდიდრებს მკითხველის გონებას და მასში აღძრავს ინტერესს თეორიულ ტემებისადმი. ეს დიდი მიღწევა იქნება.

ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ გაზეთმა გასწიოს სამეცნიერო ჟურნალის მაგიერობა. მაგრამ დროგამოშვებით ასეთი ხასიათის მოკლე და პოპულიარულ წერილების მოთავსება გაზეთისათვისაც მისაღებია და მკითხველისათვისაც უფრო სასარგებლო, მიტომ რომ გაზეთი უფრო გავრცელებულია და მას მკითხველთა გაცილებით მეტი რაოდენობა ჰყავს, ვინემ რომელიმე ჟურნალს.

არიან კიდევ სულიერი კულტურის სხვა მოვლენები, რომელნიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე უნდა ჰპოულობდნენ გამოხმაურებას ჩვენს გაზეთში. მხედველობაში გვაქვს ხელოვნების მოვლენები და საკითხები. რუსეთში დიდი მოძრაობაა პროლეტარული კულტურის და ხელოვნების გარშემო. იქ ამ მოვლენას საკმაო ყურადღებას აქცევენ ყოველდღიურ პრესაშიც. ჩვენ კი ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილი ვართ. კერძოდ გაზეთში იშვიათად წააწყდებით მხატვრულ ნაწარმოებთ და კრიტიკულ ეტიუდებს.

მართალია, ჩვენ თითქმის არ გვყავს ნამდვილი პოეტები და სიტყვის მხატვრები, აგრეთვე ლიტერატურული კრიტიკოსები. მაგრამ ვინცა გვყავს, იმათ, შეძლებისდაგვარად, გზა უნდა გაუხსნათ. ამით ჩვენი გაზეთი ხელს შეუწყობს ახალი ძალების გაფურჩქვნას და მასის ესთეტიურ-ლიტერატურულ აღზრდას.

ჩვენი გაზეთი პოლიტიკური გაზეთია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი მისი შინაარსი მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით ამოიწუროს. მასში საკმაო ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი ფილოსოფიურ და მეცნიერულ წერილებს, აგრეთვე პოეტურ-მხატვრულ სიტყვას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით გაზეთიც მოიგებს და მკითხველიც.

გ. ქ.

---

*) ამხ. ორაგველიძის აზრით, „ამ წერილებს მაინც აქვთ ნაკლი. წერილები მოგრძოა... სანამ რაიმე საკითხს მიუდგებოდეთ მოწინავე წერილში, გვჭირდება დიდი შესავალის გაკეთება“. ამ მხრივ მისაბაძ გაზეთად ის ასახელებს მოსკოვის „პრავდას“.

ეს გაზეთი მართლაც კარგადაა დაყენებული. მაგრამ მისი მეთაურები რომ გადაითარგმნოს ქართულად, თავისი სიგრძით გამოვლენ დაახლოვებით ისეთები, როგორიც „კომუნისტი“-ს მოწინავეებია. ეს აიხსნება ქართული და რუსული შრიფტის განსხვავებით. ამ შემთხვევაში ამხ. ორაგველიძეს თვალი ატყუებს. „კომუნისტი“-ს მეთაურები თავისი სიდიდით ჩვენ საერთოდ ზომიერად მიგვაჩნია. საინტერესოა, რატომ დაავიწყდა ამხ. ორაგველიძეს მოსკოვისავე „იზვესტია“ მისი ორარშინიანი მეთაურებით. მიუხედავად ამისა, არავინ ამბობს, რომ „იზვესტია“ უვარგისი გაზეთია.

რაც შეეხება „დიდი შესავლის გაკეთებას“, უნდა ითქვას, რომ ეს უსაფუძვლო განცხადებაა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ თვით ამხ. ორაგველიძე არ არის თავისუფალი მის მიერ მითითებულ „ცოდვებისაგან“.

პოლიტიკური მომზადების გამორკვევისათვის

ცეკას მიერ გადაწყვეტილია პირველი ოქტომბრიდან შეუდგეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გამორკვევას, როგორიც არის პარტიის წევრებისა და კანდიდატების პოლიტიკური მომზადების დონის გამორკვევა. ამ საკითხს უნდა მიექცეს პარტიული ორგანიზაციების მხრივ სერიოზული ყურადღება.

პარტია უნდა იცნობდეს თავის ძალებს; მან უნდა იცოდეს და შესწავლილი ჰქონდეს არა მარტო რიცხვი პარტიის წევრებისა, არა მარტო სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა პარტიისა, არამედ მას სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს პარტიის წევრებისა და კანდიდატების პოლიტიკური მომზადების შესახებაც. დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ, თუ პარტიის წევრები და კანდიდატები უაღრესად არ არიან პოლიტიკურად მომზადებული, თუ სწორად და ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი ჩვენი პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საკითხები,—შეუძლებელი იქნება კომუნისტური საზოგადოების შენება და განმტკიცება. პარტიის ყოველი წევრი მთელ თავის ენერგიასა და ძალას უნდა ანდომებდეს პოლიტიკურად გაწრთვნისა და აღზრდის საქმეს. ამ მხრივ პარტია მთლიანად უნდა დაეხმაროს მათ, როგორც ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი.

წარსულში, ჰერქვეშ მუშაობის დროს, სწარმოებდა პარტიის წევრების პოლიტიკურად აღზრდა, მაგრამ ეს საქმე ვიწრო ფარგლებში იყო მომწყვდეული გასაგები მიზეზების გამო. დიდი უმრავლესობა ამხანაგებისა ამ მუშაობას გარეშე რჩებოდა. ასეთი ამხანაგები ჩვენ დღეს ბლომათ მოგვეპოვება. არიან ისეთები, რომლებიც წარსულში არ ყოფილან რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაბმული და არც ლეგალურ პირობების დროს შეუძენიათ პოლიტიკური ცოდნა. ამიტომ საჭიროა აი, ამ უკანასკნელი კატეგორიის ამხანაგების აღრიცხვა. პარტიამ ნათლად უნდა იცოდეს ვინ არის მის რიგებში პოლიტიკურად მომზადებული და ვინ არა, რათა ეს უკანასკნელნი სასწრაფოდ ჩაებან საქმეში და შეუდგენ პოლიტიკურ მომზადებას და გაწვრთნას. ამ საქმეს, ჩვენის აზრით, როგორც უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება და ეს ფრიად სერიოზული საქმე ცეკას დავალების თანახმად სისრულეში მოიყვანონ.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები პარტიის წევრებისა და კანდიდატების პოლიტიკური მომზადების გამორკვევის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით ამ მუშაობის ჩატარება ზედმეტია, ვინაიდან ზოგიერთ მაზრებში გარდა რამოდენიმე ამხანაგებისა, ყველანი პოლიტიკურად მოუმზადებელი და გაუწრთვნელნი არიან.

ასეთი შეხედულება, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომაა.

ჯერ ერთი, რომ პარტია აწარმოებს მთელი ორგანიზაციის ყველა წევრების აღნუსხვას და საქართველოს კომუნისტურ პარტიის პოლიტიკურათ მომზადების დონის გამორკვევას. მეორე ის, რომ ჩვენი პარტიის თვითეულ ორგანიზაციამ კარგათ უნდა იცოდეს და აღრიცხვაზეც უნდა ჰყავდეს აყვანილი პარტიის პოლიტიკურად მოუმზადებელი წევრები, რათა შემდეგში სწორი გეგმა გამოიმუშაოს პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

პოლიტიკური მომზადების გამორკვევის დროს, კომისიებმა, რომელნიც გამოყოფილნი იქნებიან პარტ-ორგანიზაციების მიერ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ გარემოებას. როგორც ვთქვით, დღეს ჩვენი პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების სათავეში დგანან ბევრი ისეთი ამხანაგები, ძველი რევოლიუციონური გვარდიიდან, რომელთაც ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ინტერესები რევოლიუციისა და კომუნიზმის. ამ ამხანაგებს ჰერ-ქვეშ მუშაობის დროს, რასაკვირველია, არ ჰქონდათ არც საშვალება და არც დრო გულდასმით და დაღებით შეესწავლათ კომუნიზმის თეორია და თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების კანონები. ამიტომ, ჩვენის აზრით, პოლიტიკური მომზადების გამორკვევის დროს, აუცილებლათ საჭიროა ამხანაგები, რომლებიც ამ საქმეს აწარმოებენ, დიდი სიფრთხილით მოეპყრან ძველ რევოლიუციონერ მუშებს, რომლებმაც თავიანთ თავზე გადაიტანეს რევოლიუცია და პოლიტიკური მომზადების გამორკვევა საჭირო სიფრთხილით აწარმოონ. შეიძლება მათ თეორიული მომზადება დიდი არ ჰქონდეთ, მაგრამ, როგორც ვთქვით, ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ჩვენი მიზნები და რევოლიუციის ინტერესები. ამიტომ საჭიროა მეტი მორიდება და მეტი ტაქტი აღნიშნულ ამხანაგების მიმართ.

ჩვენის აზრით წერილში გამოთქმულ დებულებებს და მოსაზრებებს პარტიის ყოველმა წევრმა, განსაკუთრებით ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა,—სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ და ეს დიდი საქმე ყოვლად უნაკლოდ და რაიმე გაუგებრობისა და უკმაყოფილების გამოუწვევლად ჩაატარონ.

ა. კვირიკაძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის ამბები

გერმანიის ზოგიერთ მინისტრებს იმედ დალუპულად მიაჩნიათ საფრანგეთთან შეთანხმების ცდა და მოითხოვენ გერმანიამ აიღოს საბჭოთა რუსეთის კურსი.

საქსონიის ლანდტაგის კომფრაქციამ განაცხადა, რომ თუ სასწრაფოდ არ იქნება მოწვეული ლანდტაგი, საქსონიის პროლეტარიატი იძულებული იქნება დამოუკიდებლათ გამოვიდეს და მუშათა საბჭოების კონგრესი მოიწვიოსო.

სექტემბრის 18-დან ბადენის ოლქში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ბადენის ოლქის რამოდენიმე ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა.

სიძვირის ნიადაგზე არეულობა გრძელდება. პოლიცია იარაღით სდარაჯობს სასურსათო მაღაზიებს.

მთელ გერმანიაში ხდება მუშათა რაზმების დემონსტრაცია.

გერმანიის პროლეტარიატის ხმა

საყოველთაო გაფიცვა დაიწყო

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბადენის ოლქში კომპარტია მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვისაკენ ხელფასის მომატებისათვის, ფრეიბურგში სექტემბრის 18-დან საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. ბადენის ოლქის რამდენიმე ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა.

„მუშები ძალმომრეობენ მრეწველებზე“.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბადენში გაფიცვა ფართოვდება. ზემო ბადენის სამრეწველო რაიონის ყველა მუშები ქ. ლერახის გაფიცულებს მიემხრენ. ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, რომ მუშები ძალმომრეობას ახდენენ მწარმოებლების მიმართ. ლერახში სოციალ-დემოკრატები კომუნისტურ პარტიასთან ერთად გამოდიან. მათ საზიარო მოწოდება გამოსცეს გენერალურ გაფიცვის მოსაწყობად. გაფიცვას მიემხრენ რკინისგზელები და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი. ფოსტა არ მუშაობს. რკინისგზებზე მატარებლების მიმოსვლა საგრძნობლად შემცირდა. გაზეთები არ გამოდის.

პროლეტარულ რაზმების დემონსტრაცია.

ბერლინი. 19 სექტემბერი. ლეიპციგში გაიმართა პროლეტარულ რაზმების დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით 5000 კაცი, დემონსტრანტების წინაშე გამოსულმა ბეტხერმა მიუთითა დიდი კოალიციის პოლიტიკის სრულ დამარცხებაზე და აღნიშნა, რომ პროლეტარული რაზმები პირველი გულია მომავალი წითელი არმიის, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის რევოლიუციის გამარჯვებას. დრეზდენში და ცვიკაუშიც გაიმართა ასეთივე პროლეტარულ რაზმების დემონსტრაცია.

საყოველთაო გაფიცვის წინაშე

ბერლინი. 19 სექტემბერი. სასურსათო კრიზისის ნიადაგზე მრავალ ქალაქებში მოხდა მუშების გამოსვლები, რასაც მოჰყვა შეტაკებები პოლიციასთან. დიორახში შეტაკების დროს მოკლულია ორი მუშა, მძიმეთ დაჭრილია 20. მეიზენტალში მუშები იმუქრებიან საყოველთაო გაფიცვით, თუ არ იქნა დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ და თუ ხელისუფლება აკრძალავს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის მოწვევას.

სამხედრო წესები ბადენის ოლქში.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბადენის ოლქში სამხედრო წესები გამოცხადდა. ესსენის ქვანახშირის რაიონში მაღაროს მუშათა გაფიცვამ იფეთქა; ხელფასის მიუღებლობისა და სანოვაგის გაძვირების გამო.

ლუკმა პურისათვის.

ბერლინი. 18 სექტემბერი. სორაუში (ლაუზიცის პროვინცია) ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მღელვარებას სურსათის სიძვირის ნიადაგზე. მცხოვრებლებმა მოახერხეს სურსათის გაყიდვა ქალაქის საწყობებიდან დაკლებულ ფასებში. მახლობელ ადგილებიდან გამოწვეულმა პოლიციამ ცეცხლი აუტეხა ხალხს. მოკლულია 12 კაცი, მძიმეთ დაიჭრა 15.

ფაშისტები ზეიმობენ.

ბერლინი. 19 სექტემბერი. დაბა გოფში (ზემო-ბავარია) გაიმართა დიდი ფაშისტური დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდენ ბავარიის, ტიურინგიის და საქსონიის ფაშისტები. ალლუმი მიიღეს მიტლერმა და ადმირალ შერმა. საქსონიის ფაშისტების დაბრუნების დროს პლაუენში მათ შეტაკება ჰქონდათ ადგილობრივ მუშებთან.

დოლარმა კიდევ აიწია.

ბერლინი. 20 სექტემბერი. დღის დასასრულს დოლარი 220 მილიონ მარკად ფასობდა.

ესეც ვერაფერს უშველის.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბერლინის კაფეებში ჩხრეკის დროს კონფისკაციით ჩამოართვეს უცხოეთის ვალიუტა 700 მილიარდი მარკის ღირებულობისა.

სიძვირე საზღაპროდ იზრდება.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბერლინში საშინელის სისწრაფით იზრდება სიძვირე. ერთი კილო (2 ნახ. გირვ.) პური 12 მილიონი მარკა ღირს. ბერლინის მიდამოებში მუშა ქალთა დემონსტრაციები მოხდა სიძვირის ნიადაგზე. ბერლინში უმუშევართა რიცხვი 125,000 კაცს უდრის, წარსულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას კი მხოლოდ 110,000 იყო. მუშა-მოსამსახურეთა მასიური დათხოვნა გრძელდება.

მარკის კურსის დაცემა გრძელდება.

ბერლინი. 19 სექტემბერი. მარკის კურსი შეუჩერებლივ ეცემა. დოლარი არაოფიციალურ კურსით 370 მილიონ მარკათ ფასობს.

მხოლოდ რუსეთს შეუძლია გერმანიის ხსნა.

ბერლინი. 19 სექტემბერი. გერმანიის მინისტრები სათვითეულოთ განაგრძობენ გამოსვლას განცხადებებით რურის კონფლიქტის ლიკვიდაციის აუცილებელ საჭიროების შესახებ. ცენტრის ფრაქციის კრებაზე გამოსულმა ჯანმრთელობის მინისტრმა გირტზიფერმა გააფრთხილა საზოგადოებრივი აზრი ინგლისის იმედისაგან, ვინაიდან გერმანელ ხალხის ბედი ნაკლებათ აინტერესებს ევროპის პოლიტიკოსებს, რომელთა ყურადღება ამ ჟამათ მიმართულია საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტისა და ფიუმეს საკითხისაკენ.

შეჩერდა რა რაპალოს ხელშეკრულებაზე, გირტზიფერმა აღნიშნა, რომ ვირტის პოლიტიკა რუსეთზე ორიენტაციით საჭიროა გაგრძელდეს.

გირტზიფერმა აღნიშნა აგრეთვე, რომ გერმანიის მრეწველობამ ვერ გამოიჩინა სათანადო ინიციატივა რუსეთის ბაზარზე თავისი მდგომარეობის გამაგრებისათვის. საჭიროა მოისპოს ყოველგვარი იმედები ევროპის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გაუმჯობესების შესახებ და მთელი ყურადღება რუსეთს მივაქციოთ.

პუანკარეს მჭერმეტყველება მარკის დაცემას იწვევს.

ბერლინი. 18 სექტემბერი. დღეს დოლარი პუანკარეს მიერ კვირას წარმოთქმულ სიტყვების გამო ოფიციალურათ 190 მილიონ მარკათ ფასობდა მარკის კურსის სწრაფი დაცემას ხელი შეუწყო ბირჟის წრეებში გავრცელებულმა ხმებმა შესახებ იმისა, თითქოს უცხოეთის ბირჟებს განზრახული აქვთ ბაზელის ბირჟის მზგავსათ სრულიათ შესწყვიტონ მარკის კოტიროვკა. პუანკარეს სიტყვების პოლიტიკურ კომენტარიებში უიმედობა გამოსჭვივის. მემარჯვენე პრესა სარკაზმით აღნიშნავს, რომ პუანკარეს სიტყვებმა საბოლოოთ გააქარწყლეს თანამედროვე გერმანულ პოლიტიკის ილიუზიები საფრანგეთთან ეკონომიურ შეთანხმების შესახებ. მთავრობის პრესა სვამს საკითხს: ხომ არ ცდილობს საფრანგეთი შექმნას გერმანიაში სრული ქაოსი და მოზღვავებულ სასოწარკვეთილების აფეთქება? „ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს:

„დროთა მიმდინარეობაში ქრება უკანასკნელი ილიუზიაც—ინგლისის შუამავლობის იმედი" „ბერზენ ცეიტუნგი" წერს: „პოლიტიკური მდგომარეობა ისევე მოითხოვს გაბედულ ნაბიჯებს, როგორც საფინანსო კრიზისი".

გერმანიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოისმის ხმები, რომლებიც სამოქალაქო ომის ენით ლაპარაკობენ. ცნობები რურის ოლქიდან მოწმობენ, რომ იქ გამეფებულია დიდი უკმაყოფილება გერმანიის მთავრობის პოლიტიკით.

მთავრობის ახალი პროექტი უზრუნველყოფილ ვალიუტის შექმნისათვის.

ბერლინი. 19 სექტემბერი. თანახმად მთავრობის ახალ პროექტისა უზრუნველყოფილ ვალიუტის შექმნის შესახებ, რეიხსბანკს ენიჭება სრული დამოუკიდებლობა მთავრობის ხაზინისაგან და ოქროს ბანკნოტების ემისიის უფლება. გარდა ამისა, განზრახულია სპეციალურ სავალიუტო ბანკის დაარსება ახალ გადასახდელ ნიშნების გამოსაშვებათ.

ახლათ გამოქვეყნებულ პროექტის შთაბეჭდილების გასაძლიერებლათ მთავრობა ცდილობს ასწიოს მარკის კურსი. რეიხსბანკის ჩარევის გამო შავ ბირჟაზე დოლარის კურსი 37 მან. მილიონ მარკიდან 120 მილიონამდე დაეცა.

საქსონიის ლანდტაგის კომფრაქციის მოთხოვნილება.

ბერლინი. 19 სექტემბერი. საქსონიის ლანდტაგის კომფრაქციამ მოითხოვა ლანდტაგის დაუყოვნებელი მოწვევა სიძვირესთან ბრძოლის საშუალებათა გამოსანახავად, ცენტრალურ მთავრობასთან ურთიერთობის საკითხის განსახილველად. სამხედრო მინისტრ გესლერთან კონფლიქტის და სხვა საკითხებისათვის განსახილველად ფრაქცია აცხადებს, რომ, თუ ლანდტაგს არ მოიწვევენ, საქსონიის პროლეტარიატი იძულებული იქნება დამოუკიდებლათ გამოვიდეს და მუშათა საბჭოების კონგრესი მოიწვიოს.

მღელვარება ბადენში.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ლერბახის რაიონში, რკინისგზელების გაფიცვის გამო, ყოველივე მოძრაობა შესწყდა. ტელეფონის მუშებიც შეუერთდენ გაფიცულებს. გაფიცვა გავრცელდა ფრეიბურგშიაც.

ბერლინი. 20 სექტემბერი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით საგაფიცვო მოძრაობა მოედო მთელ რიგ ახალ ადგილებს. ზოგიერთ ადგილებში მწარმოებლები წაიყვანეს მძევლების სახით და გადაგზავნეს ლერახში. ბადენში კომუნისტურმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება საყოველთაო გაფიცვისათვის. ფრეიბურგში 18 სექტ. გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ზემო-ბადენის მრავალ ადგილებში მათ შორის ლერახშიაც, გამოცხადებულია საალყო წესები.

გაფიცულთა რიცხვი მრავლდება.

ბერლინი. 19 სექტემბერი. საგაფიცვო მოძრაობა ბადენის სამრეწველო რაიონებში იზრდება, გაფიცულთა რიცხვი ლორახში და შვეიცარიის საზღვარის მეზობელ რაიონში, მრავლდება. სულ გერმანიაში ამჟამათ არ მოქმედობს ლითონის ქარხნების 25 პროც.

მარკის კურსი.

ბერლინი. 18 სექტემბერი. დოლარის ოფიციალური კურსი 132 მილიონ მარკას უდრის.

გაფიცულთა ხელფასის კონფისკაცია.

პარიზი. 19 სექტემბერი. ტრირში საოკუპაციო ხელისუფლებამ კონფისკაციი უყო 5 მილიარდ მარკას, რომელიც დანიშნული იყო გაფიცულ რკინისგზელთა ხელფასის დასარიგებლათ.

შტრეზემანის სიტყვის შესახებ.

პარიზი. 19 სექტემბერი. ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გასპარმა მოახსენა მეფეს შტრეზემანის უკანასკნელ სიტყვების შესახებ.

შტრეზემანი არ უპასუხებს პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას.

ბერლინი. 19 სექტემბ. ბერლინის კომპეტენტურ წრეებში აცხადებენ, რომ შტრეზემანი არ გასცემს პასუხს პუანკარეს მის უკანასკნელ სიტყვაზე, როგორც ამას წინეთ მოელოდენ. ფიქრობენ, რომ პუანკარეს უკანასკნელი სიტყვები ეხება უფრო ინგლისს, ვიდრე გერმანიას, და რომ თუმცა ეს სიტყვები არ უწყობენ ხელს საფრანგეთ-გერმანიის უშუალო მოლაპარაკების დაწყებას, ისინი არ შეიცავენ ისეთ რამეს, რის გამო მიმდინარე მოლაპარაკება შეწყდეს.

თარეშობენ.

ბერლინი. 19 სექტემბერი. რეინლანდის მოკავშირეთა კომისიამ მისცა ფრანგებს აბსოლიუტური თავისუფლება რეინლანდის რკინის გზათა მართვა-გამგეობაში.

არეულობა სურსათის სიმცირის ნიადაგზე.

ბერლინი. 19 სექტემბერი. გერმანიაზე კვლავ გადაირბინა სურსათის უქონლობის ნიადაგზე ამოცენებულ არეულობის ტალღამ. არეულობა დასრულდა მით, რომ ბადენში მოკლულია 2 და დაჭრილია 20 მუშა, პლაუენში (საქსონია) დაჭრილია 3 მუშა, ბრემენში არეულობის გამო დაპატიმრებულია მრავალი მუშა. ბოხუმში მემაღაროეთა დემონსტრაციები გაიმართა.

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდენ რურის საკითხის განხილვის საქმეში.

გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პუანკარეს შეურიგებელი პოზიცია გამოწვეულია შტრეზემანის მთავრობის უილაჯობით. გაზეთები მოითხოვენ პარიზში მყოფ გერმანიის ელჩის შეცვლას.

პრემიერების შეხვედრა.

ლონდონი. 20 სექტემბერი. გუშინ პარიზში ჩამოვიდა ბალდვინი, და 2 საათის განმავლობაში თათბირი ჰქონდა პუანკარესთან. ამ შეხვედრას საფრანგეთისა და ინგლისის გაზეთები დიდის კმაყოფილებით აღნიშნავენ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ცნობა ადასტურებს, რომ ერთი თათბირის განმავლობაში პრემიერებმა ვერ მოასწრეს ყველა სადავო საკითხების გადაწყვეტა, რის გამოც ლონდონში გამგზავრების წინ ბალდვინს კიდევ ერთხელ ექნება თათბირი პუანკარესთან. ცნობაში ხაზგასმულია, რომ როგორც ამ შეხვედრამ გამოარკვია, **საფრანგეთისა და ინგლისის თვალსაზრისში არსებითი განსხვავება არ იყო, განსხვავება ემყარებოდა მხოლოდ მეთოდებს.** ეს გარემოება თვალსაჩინოდ აადვილებს საკონტრიბუციო და სხვა საკითხების გადაწყვეტას.

სასწაულს არ უნდა მოველოდეთ.

ლონდონი. 20 სექტემბერი. ინგლისის გაზეთები კომენტარიებს უძღვნიან პრემიერების შეხვედრას და აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა სასწაულს მაინც არ უნდა მოველოდეთ: ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა გადასალახავი ასე მაგალითად, საკონტრიბუციო საკითხი სწრაფს გადაწყვეტას მოითხოვს. გერმანია, რურის დაპყრობის შემდეგ, არ გამლიერებულა, ამისათვის უნდა გადაიჭრას საკითხი მთლიანად და არა კერძოდ საკონტრიბუციო საკითხი.

ინგლის საფრანგეთის შეთანხმება.

პარიზი. 20 სექტემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობები ადასტურებს, რომ **საფრანგეთი და ინგლისი სრულებით შეთანხმდენ რურის ევაკუაციის საკითხში.**

ბრიუსელში ნერვიულობენ.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბრიუსელში ნერვიულობა ემჩნევა საკონტრიბუციო საკითხის გამო.

„ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიუსელში აღარა სწამთ საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა ძალმომრეობის საშუალებით და სურვილი აქვთ ახალ საზავო კონფერენციის მოწვევისა, ბელგიის პროექტის განსახილველად.

პუანკარეს უკანასკნელ სიტყვის კომენტარიები.

ბერლინი. 19 სექტემბერი. არჩევს რა პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას, გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პუანკარეს შეურიგებელი პოზიცია სხვათაშორის აიხსნება შტრეზემანის არა საკმაო დიპლომატიური აქტივობით და ურჩევს მთავრობას დაუყოვნებლივ შესცვალოს ელჩის პოსტი პარიზში. „ფორვერტს"-ი მოითხოვს გერმანიის საგადასახადო უნარიანობის საკითხის სარეპარაციო კომისიისათვის დაუყოვნებლივ გადაცემას.

ბაქო და თბილისი—26 კომუნარებს

ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომა

სხდომის გახსნა.

ბაქო. 20 სექტემბერი. 19 სექტემბერს, საღამოს, ბაქოს 26 კომისარის დახვრეტის 5 წლისთავის წინადღით, გაიმართა ბაქოს საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა, რაიონულ საბჭოების, პროფკავშირების, არმიის, ფლოტის და ყველა პროლეტარულ ორგანიზაციების თანადასწრებით. სხდომის დაწყებამდე, სახელმწიფო ოპერის თეატრის დარბაზი გაივსო ხსენებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებით და თავის წინამძღოლთა ხსოვნის პატივსაცემად მოსულ მუშათა ფართო მასებით, იმ წინამძღოლთა, რომელთა სახელებიც გახდენ წმინდა საგნად კომინტერნის დროშის ქვეშ მდგომ მილიონ ადამიანებისთვის, თუ დღემდის ბაქოს 26 კომისარის დაღუპვის დღეს აღნიშნავდა მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატი, ამიერიდან იგი არის სამგლოვიარო დღე მთელი ამიერ-კავკასიის, რუსეთის და ახლო მომავალში მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისა. სცენა მორთული იყო 26-ის სურათებით, და ბაქოს მშრომელთა დროშებით: პრეზიდიუმში სხვა სტუმრებს შორის იყვენ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ტ ამიერ-კავკასიის ცაკის წარმომადგენლები. სხდომას ხსნის ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კრილოვი.

ამხ. კრილოვის სიტყვა.

მოკლე შესავალ სიტყვაში ამხ. კრილოვმა აღნიშნა 26-ის როლი ბაქოს კომუნის დაარსების საქმეში და აღნუსხა აგრეთვე 1918 წლის შეცდომები. „ჩვენ მოგველისო, სთქვა ორატორმა, ახალი ტანჯვა-წამებანი. გერმანიაში ახლოვდება დიდი ამბები. ჩვენ მოწინაალმდეგეს არ სძინავს, და ჩვენ ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ, უნდა ვიყოთ მზად გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების გასაწევად".

ამხ. ბუნიატ-ზადეს სიტყვა.

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას წევრმა აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის მიწად-მოქმედების სახ. კომისარმა ამხ. ბუნიატ-ზადემ თავის სიტყვაში თათრულ ენაზე აგრეთვე აღნიშნა, რომ ჩვენ ვიმყოფებით ახალ ოქტომბრის რევოლიუციის წინო".

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა.

ამიერ-კავკასიის სახ-კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ორახელაშვილმა აღნუსხა 26-ის დამსახურება ამიერ-კავკასიის სოციალურ რევოლიუციის საქმეში. კასპიის გაღმა უდაბნოში დაღუპულმა ბაქოს კომუნარებმა თავის დროზე სისწორით გაითვალისწინეს, რომ რუსეთის რევოლიუცია არის მხოლოდ საერთაშორისო რევოლიუციის დასაწყისი, იმ რევოლიუციის, რომელიც გააცამტვერებს ყოველივე ძველს და დრო მოჭმულს. სხვანაირად არც შეიძლება: საბჭოთა ძალაუფლება არის ერთადერთი ფორმა პროლეტარიატის დიქტატურის. ჩვენ განვახორციელეთ იგი ჩვენი რესპუბლიკების საზღვრებში; შორს არ არის ის დრო, როდესაც იგი განხორციელდება მთელ მსოფლიოში, და პირველ ყოვლისა გერმანიაში, სადაც რევოლიუცია ითამაშებს უდიდეს როლს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებაში. საერთაშორისო ბურჟუაზია გრძნობს ამას და აი ამიტომ, თუ უშუალო საფრთხე არ გვემუქრება, ჩვენ მაინც პროლეტარულ სოლიდარობის და ამავე დროს თავდაცვის მიზნით უნდა დავეხმაროთ ჩვენ ძმებს—გერმანელ მუშებს.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის მოადგილის ამ. სტურუას სიტყვა.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სტურუამ, 26-ის ერთ-ერთმა შებრძოლთაგანმა აღნუსხა, რა მათი დამსახურება, სთქვა, რომ ჩვენ მუშათა და გლეხთა ძალაუფლების 6 წლის დასაწყისში უნდა ვიყოთ მზად ახალი მსხვერპლისათვის გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების გასაწევად, რომელიც ჩვენ შემდეგ აღმართავს წითელ დროშას. ჩვენ ერთიანი ვართ, ჩვენ ვართ მსოფლიო პარტია. ჩვენ გვაქვს კოლექტიური გული, გავიმარჯვეთ რა თვითონ, ჩვენ დახმარება უნდა გაუწიოთ სხვა ქვეყნების პროლეტარიატს მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის ბრძოლაში.

26-ის სახლი.

პრეზიდიუმის წინადადებით გადასწყდა დაცულ იქნას ის სახლი, რომელშიაც ამხ. სტურუას განცხადებით, მოთავსებული იყო ჯერ კიდევ რევოლიუციამდე ცეკას სტამბა.

გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას!

მქუხარე ტაში და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სხდომის დასრულებისას წაკითხულმა ცნობამ, რომ ბადენში დაიწყო დიდი მღელვარებანი. „გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას!, გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს და მის წინამძღოლებს;" გაისმა დარბაზში. გაიმართა ხანგრძლივი ოვაციები, ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი" დიდი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ბაქოს პროლეტარიატი ზიზღს უცხადებს 26 კომუნარის ვერაგ მკვლელ ჯალათებს და აცხადებს, რომ გერმანიის პროლეტარიატის მომავალ შეტაკებაში თავის სამშობლოს და საერთაშორისო ფაშიზმთან ბაქოს მუშები როგორც საერთაშორისო პროლეტარულ არმიის ერთი რაზმთაგანი ს. ს. რ კავშირის მუშებსა და გლეხებთან ერთად მზად არიან დახმარება გაუწიონ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

ბაქოს ქუჩებში

20 სექტემბერს დილიდანვე ამოძრავდენ ბაქოს სამრეწველოები, რომლებიც გზავნიდენ ქალაქში მუშათა ჯარების რიგებს. დღევანდელი დღე არის კასპიის გაღმა უდაბნოში დაღუპულ 26 კომუნარის სამგლოვიარო დღე და ამავე დროს ბაქოს პროლეტარიატის შეფიცვისა, რომ იგი პირველ საჭიროებისთანავე დახმარებას გაუწევს გერმანიის რევოლიუციას. პროლეტარულ სოლიდარობის გრძნობამ შეაკავშირა ათეული ათასი მუშები, გლეხები, წითელ-არმიელები, ასკერები და მეზღვაურები, რომელთაც მრისხანეთ განაცხადეს დღეს, რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბაქოს პროლეტარიატი გაუწევს დახმარებას გერმანიის მებრძოლ მუშებს. ასეთი დიდი, დარაზმული ორგანიზაცია ბაქოს ჯერ არ უნახავს. ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით.

ათეული ორკესტრები, წითელი დროშების ზღვა, რომელთა შორის მკაფიოთ გამოსჩანს სამგლოვიარო დროშები, რომელნიც წყევლა-კრულვას უთვლიან საბჭოთა ძალაუფლებისათვის თავდადებულ 26 წინამძღოლის ვერაგ მკვლელებს. მშრომელთა ერთიანი ფრონტით—კაპიტალის ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ—აი ლოზუნგების უმრავლესობის ძირითადი მოტივი, რომელიც წითელმა ბაქომ წამოაყენა ამ დღეს.

წითელ არმიელების, მეზღვაურების და ასკერების მწყობრი რიგები მაჩვენებელი იყვენ არმიის და ფლოტის სიძლიერის და დარაზმულობისა, პროფკავშირები, ახალგაზრდათა კავშირი, ქალთა განყოფილება, შინა მრეწველები, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები, მუშათა ფაკულტეტები, ბავშვები ყველანი ერთის ალმაფრენით არიან გაერთიანებულნი და მათ დროშებზე სწერია: „ხვალ ბარიკადებზე გერმანიის პროლეტარიატთან ერთად."

ქალაქის ერთ ადგილას ამ მრისხანე და დიდებულ დემონსტრაციას თვალყურს ადევნებდენ ბაქოში ამჟამად მომუშავე ამერიკელები.

ალლუმი.

დილის 10 საათზე საბაზრო მოედანზე გაიმართა სამხედრო ნაწილების ალლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა დემონსტრანტებმა; ვრცელი მოედანი გაჭედილი იყო ხალხით.

სტუმრებს—ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს და ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებს, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ორახელაშვილს, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მუსაბეკოვის და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. სტურუას მიესალმენ „ინტერნაციონალით". აუწერელი აღფრთოვანება გამოიწვია საბაზრო მოედანზე „იუნკერსის" დანახვამ, რომელიც მოწყობილი იქნა ბაქოს პროლეტარიატის შემოწირულებით.

ყველამ მიაპყრო თვალები დაბლა მფრინავ ჰაეროპლანს. „თუმცა მასზე ფირმის ნიშანია, მაგრამ იგი ჩვენია", ამბობდენ ხალხში.—„ტყუილად ხომ არ არის იგი მორთული წითელი ფლაგებით".

ალლუმის მიღების შემდეგ, ჯარებმა ცერემონიალი მარშით გაიარეს. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო სამოქალაქო ომის ინვალიდების ჯგუფმა, რომელიც გამოცხადდა სათქმელად, რომ იგი უკანასკნელ ძალღონეს მოახმარს, თუ ეს საჭირო იქნება, რევოლიუციონურ მონაპოვართა დაცვას. მათ შემდეგ 2 საათის განმავლობაში მიდიოდენ მუშათა პოლკების რიგები. აღფრთოვანება არაჩვეულებრივია.

26-ის ძეგლის გახსნა.

ალლუმის ადგილიდან დემონსტრანტები გაემართენ თავისუფლების, ამჟამად 26-ის მოედანზე, სადაც გაიხსნა ბაქოს კომუნარების დროებითი ძეგლი, შესრულებული ლალოვიჩის მიერ. ჯერ კიდევ წინა დღით მუშებმა მორთეს ძეგლი ყვავილებით და მწვანეულობით. მხოლოდ წითელი ფარდებით იყო დაფარული ძეგლის დეტალები ოფიციალურად მის გახსნამდე. ძეგლთან იდგა არმიის და ფლოტის საპატიო დარაჯები. იქვე იდგენ—ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს, წარმომადგენლები აზერბეჯანის ცაკი, 26-ის ნათესავები, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭო და სხვები. დემონსტრანტები ირგვლივ შემოერტყენ მოედანს; ამავე დროს ახლო-მდებარე ქუჩებიც გაჭედილი იყო ხალხით, რადგან ვრცელი მოედანი ვერ იტევდა მთელ დემონსტრაციას. დღეს ქუჩებში გამოვიდენ ათეული ათასი მუშები.

გაისმის ზარბაზნის სალიუტი. აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ხსნის წითელ ლენტებს ფარდების ირგვლივ, რომელიც ძეგლს ფარავს. ძეგლი გახსნილია. მძლავრად ჰქუხს სამგლოვიარო მარში და „ინტერნაციონალი". კასპიის ზღვის გემები ზარბაზნების სროლით ესალმებიან ძეგლის გახსნას. სამრეწველოებმა ქარხნებმა და ფაბრიკებმა შეუერთეს საერთო სიმფონიას თავიანთი საყვირების მძლავრი აკკორდი.

ზევიდან სალამს უძღვნის მას თვითმფრინავი, მოუწოდებს რა იგი ახალ ბრძოლის მიღწევებისა და გამარჯვებისაკენ. ძეგლის ძირში უხვად მიაქვთ ყვავილები და გვირგვინები მუშათა ჯგუფებს. პირველ რიგში გაიარეს 26-ის სახელობის საბავშო სახლის ბავშვებმა, მომავალმა იმედებმა და დაუვიწყარ კომუნარების მემკვიდრეებმა.

26-ის საჰაერო ძეგლი.

ბაქო. 20 სექტ. წითელმა ბაქომ მიუძღვნა საბჭოთა ქვეყანას მებრძოლი თვითმფრინავი თავის საუკეთესო კომუნარების სახსოვრად.

საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად შემოწირულებათა შეგროვება გრძელდება. აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარემ გამოიწოდა შეჯიბრებაზე ყველა სამეურნეო ორგანოები, ტრესტები და სინდიკატები, რომელნიც აზერბეიჯანის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

20 სექტემბერს, საღამოს შვიდ საათისთვის საოპერო თეატრის შენობა სავსეა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებით, ადგილკომებით, კავშირთა გამგეობის, წითელი არმიის წარმომადგენლებით და მრავალ სხვა მოქალაქეებით.

7 საათზე ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სვიმონ ქლენტი საზეიმო სხდომას 26 კომუნარის დაღუპვის ხუთი წლის თავის გამო, გახსნილად აცხადებს და წინადადებას აძლევს დამსწრეებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ ვერაგულათ დახოცილ ამხანაგთა ხსოვნას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს. პირველ სიტყვას 26 კომუნარის სახსოვრად ამბობს ამხ. შალვა ელიავა.

ამხ. ელიავას სიტყვა.

ამხ. ელიავა დაწვრილებით შეეხო რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში შექმნილ მდგომარეობას 5 წლის წინად. 1918 წელი იყო დრო რევოლიუციონური ქაოსის, ძველი რუსეთი გაქრა და დანაწილდა, მის ნაცვლად წარმოიშვა მრავალი უფორმო და ჩამოუყალიბებელი რესპუბლიკები. პროლეტარიატის ცენტრი ბაქო მოემწყვდა ანტი-რევოლიუციონურ რკალში და იგი ჩავარდა უდიდეს განსაცდელში, რომელიც 26 კომუნარის ტრაგედიით დასრულდა. 5 წლის წინად ჩვენ ისე არ გვაღელვებდა ეს უდიდესი მსხვერპლი, როგორც ახლა, რადგან ხმა განაწამებ ამხანაგებისა ჩვენამდე არ აღწევდა. დღეს მთელი თავის სიდიადით გათვალისწინებული გვაქვს ამ ტრაგედიის მნიშვნელობა და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო ძვირფასი და დასაფასებელი იქნება იგი რევოლიუციის მებრძოლებისათვის. მით უმეტეს, რომ ბაქოსებური მოვლენების განმეორება ყოველთვის შესაძლებელია დღევანდელ მსოფლიო პირობებში. შემდეგ ამხანაგი გადადის გერმანიის დღევანდელ რევოლიუციურ მოძრაობაზე და გაყავს ანალოგია ამ მოძრაობის 1918 წ. რუსეთში შექმნილ პირობებს შორის. როგორც რუსეთი ამ ხუთი წლის წინად, ისე გერმანია დღეს არის ექსპერიმენტების საგანი იმპერიალისტების ხელში. მაგრამ მრავალი მსხვერპლის გაღებით და მათ შორის 26 კომუნარის თავდადებული გმირობით რუსეთი გარდიქმნა საბჭოთა ქვეყნების დიდ სოციალისტურ კავშირად რომელსაც დღეს მთელი ქვეყანა ანგარიშს უწევს. დაღუპული ამხანაგები მტკიცე საძირკველია იმ დიდი შენობის, რომელიც მათ ძვლებზე მსოფლიო სოციალისტურ რესპუბლიკათ შენდება. რუსეთის რევოლიუციაში ჩვენ გამოველით გამარჯვებულნი, და ჩვენ გვმართებს რუსეთის საზღვრებს გარეთაც 26-ის მზგავსად თავი დაუდოთ რევოლიუციის გამარჯვებისთვის—ეს იქნება დაღუპული ამხანაგებისთვის საუკეთესო ძეგლის მათი ხსოვნის უდიდესი პატივისცემა. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობას! (ინტერნაციონალი).

ნ. ლეჟავას სიტყვა.

ამხ. ლეჟავა იგონებს იმ პირობებს, რომელშიაც მოუხდათ მოღვაწეობა 26 კომუნარის ტ განსაცდელში ჩავარდნილ ბაქოს საბჭოებს. რა მოღალატური როლი ითამაშეს ესერებმა და მენშევიკებმა საქო სააკიანის და აიოლოს მეთაურობით, ბაქოს კომუნა დამარცხდა დროებით, მაგრამ იმ მსხვერპლმა, რომელიც მან შეიწირა, უზრუნველყო და გაამაგრა რევოლიუცია. ბაქოს კომუნა პარიზის კომუნის შემდეგ, ეს თვალსაჩინო და ბრწყინვალე ფურცელია რევოლიუციონური მოძრაობის მატიანეში. გაუმარჯოს დაღუპულ ამხანაგთა დიად მიზანს! (ინტერნაციონალი).

შემდეგი სიტყვა ეძლევა ძველს ბაქოელს მუშაკს, შაუმიანის და ჯაფარიძის თანამებრძოლს ამხანაგს **არშაკ ხაჩიევს.**

არშაკ ხაჩიევის სიტყვა.

ამხ. ხაჩიევი თავის მოკლე წარმოთქმულ სიტყვაში იგონებს ბაქოს კომუნის უკანასკნელ დღეებს და აღნიშნავს იმ შეცდომას, რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა საბჭოებმა დაუშვეს, ტ რომლის შედეგიც 26-ის [illegible] ამხანაგი კრებას უხატავს ნარების დაღუპვიდან ექვსი თავზე გამართულ საბჭოს სხ სურათს, სადაც ბაქოს პროლე ატმა წრფელი გულის წუხილით ნანია თავისი საბედისწერო დომა დაღუპულთა წინაშე. ამხ. მოკლეთ ახასიათებს ამხ. სტ შაუმიანს, როგორც უბადლო რე ლიუციონერს და როგორც უგულ ფილესს მეგობარს და უფაქიზეს ა მიანს.

ალიოშა ჯაფარიძე,—ორატო დახასიათებით,—იყო უნიჭიერესი განიზატორი და ტაქტიკოსი, რ მელმაც თვით უსაშინელეს განს დელის დროსაც კი არ იცოდა დ ნევა და სასოწარკვეთილება. იყო გმირი, რომელიც ენთო, მაგ არასოდეს არ იწოდაო; ორა მოყავს ეპიზოდები ჯაფარიძის შაუმიანის რევოლიუციონურ მ წეობიდან, რომელიც სავსებით ცხად ჰყოფს ორატორისგან აღნიშნულ დაღუპულ ბელადთა ხასიათის სიმტკიცეს და რევოლიუციონურ შეუპოვრობას. შემდეგ ამხ. ხაჩიევი ჩერდება ერთ-ერთ კომუნარ მაშად აზიზბეგოვზე, რომელმაც უარყო პირადი ბედნიერება და მთელი თავისი ახალგაზრდობა და სიცოცხლეც რევოლიუციის გამარჯვებას შესწირა. დასასრულ, ამხანაგს მოყავს 26 კომუნართა დაღუპვის უკანასკნელ წუთების სურათი, რომელიც მისთვის თვით მხილველს გადმოუცია. ეს იყო იშვიათი გმირობის და შეუდრეკელი რევოლიუციონური ნებისყოფის დემონსტრაციაო; გაუმარჯოს 26 კომუნარის ხსოვნას და მათ მიერ დაწყებულ საქმის ბრწყინვალე დაგვირგვინება! (მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

ამხ. გიორგი სტურუას შემდე რომელიც რევოლიუციის 5 წლი ისტორიის ვრცელს ანალიზს იძლევა და აღნიშნავს დაღუპულ გმირთ ღვაწლს განვლილ პერიოდში, სიტყვ ეძლევა ამხ. ეგოროვს, რომელსაც აუდიტორია ტაშის კვრით ხვდება.

ეგოროვის სიტყვა.

ამხ. ეგოროვი იგონებს, თუ რო გორი მწუხარებით შეხვდა სამხრ ფრონტზე მომქმედი არმია ბაქო კომუნის უკანასკნელ დღეებს. ჩვენ გვწამდა, რომ ბაქოს დაცემა იყო დროებითი; რომ დადგებოდა 2 კომუნარის მკვლელებისათვის სა გიეროს გადახდის დრო და მართლ კავკასიის არმიამ იძია შური დაღუ პული ამხანაგებისთვის მით, რო აღმართა წითელი დროშა ბაქოსა ამიერ-კავკასიაში. ჩვენ სამაგ გადაუხდით მტრებს, როცა ნით სოციალისტური ქვეყნებ ვისუფალ კავშირს, და შური უკანასკნელი მახვილი გაი ჩვენი მტრების თავზე, როცა თებთ მოახლოვებულ რევოლიუ ცეცხლს მთელს მსოფლიოში. ამ დი ბრძოლის მოლოდინში დღ ქედს იხრის კავკასიის არმია დაღ პულ გმირთა ხსოვნის წინაშე. (ტაში და ინტერნაციონალი)

ამხ. ეგოროვის სიტყვის დასასრ ამხ. ქლენტი სხდომას დასრულ ლად აცხადებს.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

ერთა ლიგა აცხადებს, რომ საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი არსებითად დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

საბერძნეთის მთავრობის თავმჯდომარემ ბოდიში მოიხადა იტალიის მთავრობის წინაშე და გადაუხადა მას 50 მილიონი ლირა.

საბერძნეთის სამხედრო ესკადრამ სათანადო ცერემონიალით ბოდიში მოიხადა იტალიის ესკადრის წინაშე.

კონფლიქტის ლიკვიდაცია.

ბერლინი. 19 სექტემბერი. ერთა ლიგა აცხადებს, რომ საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი არსებითად დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს.

იტალიის ფლოტი პირეაში.

რომი. 19 სექტემბერი. 17 სექტემბერს იტალიის ფლოტი საფრანგეთის და ინგლისის კრეისერების თანხლებით პირეაში გაემგზავრა საბერძნეთის ფლოტისაგან სალიუტის მისაღებათ.

საბერძნეთის პრემიერის ბოდიში.

ვენა. 19 სექტემბერი. ათინიდან მიღებული ცნობით საბერძნეთის პრემიერმა ბოდიში მოიხადა საბერძნეთის მთავრობის სახელით საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობის წინაშე იტალიის კომისიის წევრთა მოკვლის გამო.

მუსოლინი ქადთაბანდობს.

ვენა. 20 სექტემბერი. ბრანტინგმა (შვეციის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში) განაცხადა, რომ კორფუს ევაკუაცია საშიში პრეცედენტია, რომლისაც შეუძლია გააქარწყლოს მცირე სახელმწიფოთა ნდობა ლიგისადმი. თავის პასუხში მუსოლინი სდუმს შესახებ იმისა, დაკმაყოფილებულია იტალია-საბერძნეთის მიერ 50 მილიონ ლირის გადახდით თუ იგი კიდევ რეპარაციებს მოითხოვს, რომლებიც კორფუს ხანგრძლივ ოკუპაციას გამოიწვევენ.

მიწისძვრა იაპონიაში

წყალდიდობამ ქალაქ ტოტორში იმსხვერპლა 300,000 კაცი.

შორეულ აღმოსავლეთის კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა იაპონიის მუშების სასარგებლოთ შესწირეს 25,000 ოქროს მანეთი.

იაპონია უარს აცხადებს საბჭოთა რუსეთისაგან დამხმარე რაზმების მიღებაზე.

25.000 მანეთი შორეულ აღმოსავლეთის კოოპერაციისაგან.

ჩიტა. 20 სექტემბერი. შორეულ აღმოსავლეთის კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა იაპონიის მუშათა სასარგებლოთ 25.000 ოქროს მანეთი გაიღო.

300.000 კაცი დაიღრჩო.

ნაუენი. 20 სექტემბერი. იაპონიის წყლით დაფარულ ქალაქ ტოტორიში დაიღუპა 300.000 კაცი. ზარალი 10 მილიონი დოლარით არის აღრიცხული.

იაპონიას ეშინია „საბჭოთა სულისკვეთების"

იაპონიამ უარი განაცხადა ს. ს. ს. რ. კავშირის უშუალო დახმარებაზე.

ვლადივოსტოკი. 20 სექტემბერი. იაპონიის მთავრობამ გარეშე საქმეთა სახ. კომისარისათვის გადაცემულ ნოტაში, მადლობას უხდის რა საბჭოთა მთავრობას იაპონიის ხალხის მიმართ გამოჩენილ თანაგრძნობისათვის თავს იკავებს წინადადების მიღებისაგან, ავადმყოფთა ტ დაჭრილთა დასახმარებლად რაზმების გაგზავნის შესახებ და აღნიშნავს, რომ იაპონურ ენის უცოდინარ პირთათვის მეტად ძნელი იქნება დახმარების აღმოჩენა და ამმიზეზით იაპონიამ უარი განაცხადა ამერიკის და სხვა ქვეყნების ასეთსავე წინადადებათა მიღებაზე. იაპონიის მთავრობა იმედოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობა ენდობა მას თვით მოახდინოს შემოწირულებათა განაწილება დაზარებულთა შორის, სხვა ქვეყნების შემოწირულებებთან ერთად.

„იაპონიის მუშებს არ ესჭიროებათ დახმარება".

ვლადივოსტოკი. 20 სექტემბერი. გემ „ლენინით" ტოკიოდან ჩამოსულმა ჩვენმა კორესპონდენტმა ნიჩიმ განაცხადა, რომ იაპონიის სამხედრო პირები უარყოფითად უცქერიან ჩვენ დახმარებას. სამოქალაქო ხელისუფლებაკი მიესალმა გემის ჩასვლას. მთელ იაპონიაში უცხოეთის რაზმიდან დაზარალებულ მუშებს დახმარებას მხოლოდ ინგლისელების პატარა რაზმი უწევს. გემზე გამოცხადებულმა საკომანდო შემადგენლობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იაპონელ მუშებს არ ესაჭიროებათ დახმარება ტ უარი უთხრეს ჩვენ რწმუნებულს იაპონიის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენლის და გუბერნატორის ნახვაზე, მაგრამ აღუთქვეს, რომ მაინც მოახსენებენ გუბერნატორს. იმავე დღეს გემზე გამოცხადდა პოლკოვნიკი ტაკედა კაპიტან ხიუჩის ინტერვენციის ცნობილ მომხრის თანხლებით და წაიკითხა ტოკიოს მთავრობის ბრძანება დაუყოვნებლივ დასტოვოს იაკოგამა იაპონიის წყლებში შესვლის უფლების წართმევით, თხოვნა წერილობით ბრძანების მიცემის შესახებ, არ იქნა დაკმაყოფილებული. დრედნოუტმა და ნაღმოსანმა გააცილეს „ლენინი" შუაგულ ზღვამდე. ამერიკის ესკადრა ესალმებოდა „ლენინს", იაპონიის კი სდუმდა.

მდგომარეობა ბალკანეთზე

ბულგარეთის ჯარი განაგრძობს სამხრეთ სლავიაში შეჭრას, რის გამო ასეთივე საქციელით ემუქრება ბულგარეთს სამხრეთ-სლავიის მთავრობა.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა დაიმედებული საფრანგეთის დახმარებით, ემზადება მაკედონიის საკითხის რადიკალურად გადასაჭრელად.

საფრანგეთის პრესა აბრალებს იტალიის ბულგარეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას.

ალბანეთის მთავრობა მოითხოვს საბერძნეთის მთავრობისაგან დამნაშავის გაცემას.

არეულობა ბულგარეთში.

ლონდონი. 20 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო სოფიიდან იუწყება, რომ მეამბოხეებმა ძველ და ახალ ზაგორაში და მთელ რიგ სხვა სოფლებში თავს დაესხენ ხუთშაბათს საპოლიციო ყაზარმებს ათი დღის წინეთ დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლების განზრახვით.

ბულგარეთი და სამხრეთ-სლავია.

ლონდონი. 19 სექტემბერი. სამხრეთ სლავიის მთავრობამ გაუგზავნა ბულგარეთს ახალი ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ ბულგარეთის კომიტაჯები განაგრძობენ შეჭრას სამხრეთ-სლავიაში, უკანასკნელის არმია მათ განდევნის დროს არ დაერიდება ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასვლა.

ბულგარეთის პარიზში მყოფილი ელჩის განცხადება.

ბერლინი. 19 სექტემბერი. ბულგარეთის წარმომადგენელმა პარიზში განაცხადა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში, რომ ბულგარეთის მთავრობას სურს სისწორით შეასრულოს ნოტაში დადებული ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიასთან, კერძოთ ის მუხლი, რომელიც შეეხება ბულგარეთის კომიტაჯიების შეჭრის შემთხვევას სამხრეთ-სლავიაში.

ბულგარეთი მოითხოვს კომისიის დაარსებას.

პარიზი. 19 სექტემბერი. პაშიჩმა აცნობა ბულგარეთის პრემიერს იმის შესახებ, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობა ღებულობს ბულგარეთის მთავრობის წინადადებას, რათა ნიცის ხელშეკრულების მიხედვით დაარსდეს კომისია, რომელიც მოაწესრიგებს საკითხს ბულგარეთის კომიტაჯიების მოქმედების შესახებ სამხრეთ-სლავიის საზღვარზე. კომისია მუშაობას უნდა შეუდგეს 1 ოქტომბერს!

მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

ვენა. 20 სექტემბერი. მდგომარეობა სამხრეთ სლავიასა და ბულგარეთის საზღვარზე მეტათ სერიოზულია. სამხრეთ-სლავიის მთავრობა, საფრანგეთის დახმარებით დაიმედებული, მაკედონიის საკითხის რადიკალურ გადაწყვეტისათვის ემზადება. საფრანგეთის ინიციატივით მოკავშირეებმა, და მათ შორის იტალიამაც, მიმართეს ბულგარეთის მთავრობას პროტესტის ნოტით მაკედონიაში ბანდების ორგაგიზაციის გამო. საფრანგეთის პრესა აბრალებს იტალიას ბულგარეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას.

კარგათ შეიარაღებული და სრულიათ მომზადებული ბანდები ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე დგანან. სამხრეთ-სლავიაზე თავდასხმის დღით 20 სექტემბერი მიაჩნიათ.

სამხრეთ-სლავიის ჯარები დაგრო ბული არიან ცარიბროდის მიმარ ლებით.

ალბანეთის მუქარა.

ვენა. 19 სექტ. საბერძნეთის მ ვრობამ ნოტით მიჰმართა ალბ თის მთავრობას და მოითხოვა მი ალბანელები, რომლებიც ვით მკვლელები არიან იტალიის დე გაციის წევრებისა. ალბანეთის მ რობა საპასუხო ნოტაში აცხად რომ მკვლელები ბერძნები იყვ საბერძნეთის მიწა-წყალზე მიიმა და მოითხოვს მათ გაცემას, წ აღმდეგ შემთხვევაში იმუქრება, ალბანეთის ჯარი საბერძნეთი რიტორიაზე გადავა, რათა თ დამოუკიდებლად შეიპყრას შავენი.

ფიუმეს საკითხი

იტალიამ ფიუმეში შეიყვანა 4 დივიზია, რის გამო სამხრეთ ვიამ პროტესტი განაცხადა.

ფიუმეში იტალიის გენერალ-გუბერნატორის დანიშვნას სა სლავია სთვლის ფიუმეს ანექსიათ იტალიის მხრივ, რის გამო ითხოვს ჯარების უკან გაყვანას.

სამხრეთ-სლავიის პროტესტი.

ვენა. 20 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიამ პროტესტით მიმართა მუსოლინს იტალიის ჯარების ფიუმეს რაიონში კონცენტრაციის გამო.

იტალიის ჯარები ფიუმეში.

ვენა. 20 სექტემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად ფიუმეში ჩავიდა იტალიის ჯარების 4 დივიზია.

პასუხიც ასეთი უნდა.

ვენა. 20 სექტემბერი. ფიუმეს მთავრობამ, რომელიც გადადგა იტალიის ზეგავლენით, მიმართა იტალიის მთავრობას თხოვნით, დახმარება გაუწიოს ფიუმეს გაჭირვებულ მცხოვრებთ. ამის პასუხად იტალიის მთავრობამ დანიშნა ფიუმეს გუბერნატორად იტალიელი გენერალი ჯარდინო. სამხრეთ-სლავია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ფიუმეში შექმნილ ვითარებას. ფიუმეში იტალიელ რლის დანიშვნას, სამხრეთ-სლ წრეებში სთვლიან ცდად სამხრეთ-სლავია მომავალ მოლა კების დროს მომხდარ ფაქტის შე. იტყობინებიან იტალიის კონცენტრაციის შესახებ ფიუმე რთულებით.

ფიუმეს ფარული ანექსია.

ვენა. 20 სექტემბერი. იტალიის ნერლის ჯარდინოს დანიშვნამ გუბერნატორად სამხრეთ-სლ ოფიციალურ წრეებში ცუდი ჭდილება დასტოვა. ბელგრადის ზეთები ხედავენ იტალიის მი ბაში ფიუმეს ფარულ ანექსიას უსვამენ საფრანგეთის კეთილ ბრულ განწყობილებას სამხრე ვიისადმი.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთის ტერიტორიის ევაკუაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

ანგორა. 20 სექტ. ინგლისის ჯარების მეტმა ნაწილმა უკვე დასტოვა სტამბოლი. ხმელთაშუაზღვის საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი ბროკი გაემგზავრა სტამბ ევაკუაციის შემდეგ ინგლ სტამბოლში დასტოვებენ სერს და ერთ ნაღმოსანს. რომ 2 ოქტომბრამდე

ჩვენი სიმღერა

რკინებს ვგრეხთ და ვარხევთ,
ოფლი გვდის ჩვენ ცხარე;
სამყარო ეს მთელადე
არის ჩვენი მხარე.
ჰე-რი, ჰო-რი-რა.
არის ჩვენი მხარე!
ვაყირავებთ კერპებს,
ჰაერს, მთა და ბარსა;—
ცეცხლის მერნით ვქრივართ,
ვრეკავთ ძლევის ზარსა
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
ვრეკავთ ძლევის ზარსა!
და არ ვინდობთ ფლიდებს,
ღმერთებს, ცბიერ ბერსა..
ნამგალი და ურო
სრესენ შრომის მტერსა!
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
სრესენ შრომის მტერსა!
ლაზათიან ხელებს
შემოვავლებთ ქვერსა,
მედგრად დავკრავთ გრდემლს და
ვაფრქვევთ ცეცხლის მტვერსა.
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
ვაფრქვევთ ცეცხლის მტვერსა
ამონახეთქ ალში
იწვის ბედი მწარე..
არევ, ოფლის მღვრელო,
დასტკბი გაიხარე!
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
დასტკბი, გაიხარე!

დედა-მიწა ოფლით
არის დანაპკური:
საარსებო ქვეყნად
ჩვენ შევქმენით პური.
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
ჩვენ შევქმენით პური!
მონობის რაც არის,
ვამსხვრევთ ყველა ფერსა;
ორჭოფ-კერპნი შედრკენ,—
იცვლის ყველა ფერსა.
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
იცვლის ყველა ფერსა!
გავალმერთეთ შრომა,—
ვეტრფით წითელ ფერსა;
მუშურ-გლეხურ წესებს
ვამცნობთ ყველა ერსა.
ჰე-რი, ჰო-რი-რა .
ვამცნობთ ყველა ერსა!
ვილტვით, რომ ვიხილოთ
აღთქმულ შვების ბინა;
ბელადთ რაზმი გვიძღვის
და მივიწევთ წინა.
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
და მივიწევთ წინა!
ჩვენ ერთნი ვართ ყველგან;
ვერვინ ვერ შეგვბღალავს.
დაკრავს!. მთელ მსოფლიოდ
გავშლით წითელ ალამს.
ჰე-რი, ჰო-რი-რა..
გავშლით წითელ ალამს!

ანაზარდი

ლვრებს. ფოსტის და ტელეგრაფის ჩაბარება დამთავრდება 1 ოქტომბერს. გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ ევაკუაციის ჩქარი ტემპით წარმოებას და მიუთითებენ იმაზე, რომ ინგლისელებს სურთ ნიხ-ხაიდარ ფაშას რკინისგზები გადასცენ მხოლოდ მეპატრონეებს. გაზეთი „ენი გიუნ"-ი მოითხოვს მთავრობისაგან, რათა ეს რკინისგზები გადაეცეს ოსმალეთის ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავებული უნდა იქნეს ძალით. მოკავშირეების გენერლების გამგზავრება სტამბოლიდან უნდა მოხდეს 3 ოქტომბერს.

ოსმალეთ-სპარსეთის ურთიერთობა.

ანგორა. 20 სექტემბერი. სპარსეთის წინააღმდეგობა ოსმალეთისათვის ბულაკ-ბუშის რაიონის გადაცემაზე, „ხაკიმიეტ მილიეს" აზრით, საკვირველია და ქმნის ოსმალეთში არასასურველ შთაბეჭდილებას.

პარიზი. 21 სექტემბერი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიკავა სადავო ტერიტორია ბულაკ-ბუში, რომელიც მდებარეობს ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრებზე.

აჯანყება ტრიპოლიტანიაში.

რომი. 21 სექტემბერი. ტარხუნის სამხრეთით აჯანყებულთა ჯგუფები დამარცხდენ: მათ დაჰკარგეს მრავალი მსხვერპლი ნეაპოლში გემებზე გადმოსხეს „მოხალისე მილიციის" სამი ლეგიონი ტრიპოლიტანიაში გასაგზავნათ.

სხვადასხვა

ესტონეთი

ყველა მუშათა პარტიების კონფერენცია.

რეველი. 20 სექტ. გაზ. „ზნამია ტრუდა" იუწყება, რომ კვირას, რეველში მოხდა ყველა მუშათა პარტიების კონფერენცია, სასოფლო-მეურნეობის მუშების მონაწილეობით. კონფერენციის მიზანი იყო ერთიანი ფრონტის შექმნა ადგილობრივ თვითმმართველობათა მოახლოვებულ არჩევნებში. რადგანაც დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარი განაცხადა ერთიანი ფრონტის შექმნაზე, კონფერენციამ, მუშაკთა პარტიის კომუნისტური ფრაქციისა, სოფლის მეურნეობის მუშების მონაწილეობით, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის გარეითად ერთხმად დაადგინა შეუერთდეს კომუნისტური მუშაკთა პარტიის ფრაქციის მოწოდებას ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

ბულგარეთი.

ბულგარეთის კომპარტია „კანონს გარეშე" გამოაცხადეს.

ვენა. 20 სექტემბერი. ბულგარეთის კომუნისტური პარტია კანონის გარეშე დააყენეს იმ საბაბით, რომ კომუნისტებს განზრახული აქვთ სექტემბრის 17-ს გადატრიალება მოახდინონო. სექტებრის 12-ს, სოფიასა და პროვინციის ქალაქებში მასიური დაპატიმრება მოხდა კომუნისტებისა. სამხრეთ-სლავიიდან მიღებული ცნობებით, დატუსაღებულთა რიცხვი 2000 კაცს აღემატება. დატუსაღებულია პარტიის ბელადები: ბლაგოევი, კამაშევი, პოპოვი, დაპატიმრებას გადარჩნენ, მოსკოვში მყოფი კოლაროვი და მეტყაველთა კონფერენციაზე წასული დიმიტროვი. ქალაქის საბჭოთა წევრთ კომუნისტები გადააყენეს. დატუსალების დღეს მთავრობამ გამოაცხადა, რომ ყველა დატუსაღებულებს დახვრეტს, უკეთუ გადატრიალებას შეეცდება ვინმეო.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

შემოზიდვა და გაზიდვა.

ბათომი. 19 სექტემბერი. სახალხო კომისართა საბჭო იწვევს საგანგებო თათბირს აჭარაში შემოზიდვა-გაზიდვის საქმის მოსაწესრიგებლად, ცენტრიდან სპეციალისტ ინსტრუქტორის ჩამოსვლის გამო.

ბრძოლა სისხლის აღების წინააღმდეგ.

ბათომი. 19 სექტემბერი. აჭარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სექტემბრის 20-დე გააგრძელა ვადა მოსისხლეთა შორის შერიგების მოსახდენად.

გემთა შემადგენლობა.

ბათომი. 19 სექტემბერი. აჭარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი აჭარის გემთა მშენებლობისა. დამტკიცებულია აგრეთვე დებულებანი იუსტიციის სახალხო კომისარიატის, სახალხო სასამართლოებისა და გამომძიებელთა შტატების შესახებ აჭარაში. მათი საერთო რიცხვი 152 კაცს უდრის.

სომხეთი.

„26" კომუნარს დღე.

ერევანი. 20 სექ. 26 კომუნართა დახოცვის 5 წლის თავზე, სექტემბრის 15-ს ერევანში მოეწყო სტუდენტთა კავშირის კრება. სექტემბრის 20 გაიმართა ნამდვილი საზეიმო გაერთიანებული სხდომა პარტიულ, პროფკავშირის და წითელ არმიელთა ორგანიზაციებისა.

ერევნის კონსერვატორია.

ერევანი. 20 სექტემბერი. ორი წლის არსებობის შემდეგ, ერევნის სამუსიკო სტუდია კონსერვატორიად გადაკეთდა. 6 ახალი სპეციალისტი მიიწვიეს. ძველ მასწავლებლებთან ერთად ამჟამად მასწავლებელთა შემადგენლობა 10 კაცს უდრის. კონსერვატორია მიზნად ისახავს: მასწავლებლების ტეხნიკურ მომზადებას, სომხეთის მუსიკალურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს მას აქვს აკადემიური დანიშნულებაც თავისუფალ ხელოვანთა გამოშვება. თხოვნების მიღება იწარმოებს ოქტომბრის 1-დე.

პოლიტ-ცოდნა.

ერევანი. 20 სექტემბერი. პოლიტცოდნის გასავრცელებლად, სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობას 250 ჩერვონეცი გადაეცა შესაფერ წიგნების გამოსაცემად.

სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის მე-6-ე ყრილობა

მესამე დღე. დილის სხდომა

სახ. გან. კომ. ამხ. კანდელაკის მოხსენება.

გასაბჭოების დღიდან განათლების კომისარიატის წინაშე განათლების დარგში იყო შემდეგი: 1) ნაციონალიზაცია სკოლების, 2) რეორგანიზაცია სკოლების, 3) სკოლის გარედ დარჩენილ ბავშვების სასწავლებლებში მოწყობა.

თუ ავიღებთ მენშევიკების 1919—20 წლებს და საბჭოთა საქართველოს 1921—22 და 23 წელს, ჩვენ დავინახავთ, რომ ბავშვების რიცხვი სკოლის გარეშე დიდათ შემცირდა, ხოლო პედაგოგიური პერსონალი გადიდდა, რასაც ადასტურებს შემდეგი სტატისტიკური ცნობანი: 1919—20 წლებში ყველა ტიპის სასწავლებლების აბსოლიუტური რიცხვი იყო 1704, შედარებითი რიცხვი 115, მასწავლებელთა რიცხვი აბსოლიუტური—5808, შედარებითი—136, მოსწავლეთა რიცხვი—159,423, შედარებითი რიცხვი კი 170. 1921—22 წლ. აბსოლიუტური რიცხვი ყველა ტიპის სასწავლებლების იყო—1776, შედარებითი—120, მასწავლებელთა რიცხვი—8,366, შედარებითი—196, მოსწავლეთა რიცხვი—185,190, შედარებითი კი—197.

1922—23 წლებში: რიცხვი სასწავლებლების 1668, შედარებითი რიცხვი—112, მასწავლებლობა, აბსოლიუტური რიცხვით აღებული—8022, შედარებითი რიცხვი კი—188, მოსწავლეთა აბსოლიუტური რიცხვი—195,799, შედარებითი კი—208. აქედან ცხადია, რომ წარმატება განათლების დარგში დიდია.

სკოლის რეორგანიზაცია—ეს ერთი მთავარი ამოცანა განათლების კომისარიატის, რამდენადაც შესაძლებელი იყო ჩატარდა ნაყოფიერად.

სოციალური აღზრდის რეფორმის გასატარებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი სქემა: სოციალური აღზრდის მთავარი განყოფილება აწარმოებს სოციალურ აღმზრდელობას 4 დან—17 წლის ჰასაკამდე (პოლიტეხნიკურ განათლების ხაზით). მათგან 4 დან 7 წლამდე—ჰასაკია სკოლამდე აღზრდის, 7—17 წლამდე კი ერთიანი შრომის სკოლა.

ამასთანავე ერთად დროებით დამოუკიდებლად იარსებებს ოთხ წლიანი სასოფლო სამეურნეო სკოლა, როგორც მასსიური სკოლა, სოფლებში, სადაც მშობლებს არა აქვთ საშვალება გაუშვან ბავშვები სხვაგან, ვინაიდან საჭიროებენ თავის მეურნეობაში მუშა ხელთ.

სოციალური აღზრდის ახალ სისტემასთან დაკავშირებით განათლების კომისარიატის წინაშე დადგა პროგრამის გადათვალიერების ახალი შინაარსის შეტანის საკითხი, რომლის მოსაგვარებლად მუშავდება პროგრამები და სწავლის დაწყების წინ მზად იქნება.

სოციალური აღზრდის სისტემის რეფორმამ და ახალი სკოლის შექმნამ გამოიწვიეს კითხვა ახალი მასწავლებელის შექმნის, როგორც აუცილებელი ფაქტორის ახალი სკოლის შესაქმნელად. ამისათვის ზაფხულზე მოწყობილი იქნა საზაფხულო მოკლე ვადიანი კურსები სოციალური აღზრდის მუშაკების გადასამზადებლად.

პარტიული ცხოვრება

აღწერისათვის.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ რაიონში სრულიად საქართველოს აღწერა დასრულდება ამა თვის 27-ს.

ცენტროსოიუზის, მე-12-ე ფაბკომის და სახელმწიფო ღვინის ტრესტის უჯრედების წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან გატარდენ აღწერაში რაიკომში 24 სექტემბრიდან.

იმ უჯრედებში, სადაც აღწერა უკვე მოხდა, მაგრამ ზოგიერთი წევრები კიდევ არ გატარებულან აღწერაში, უკანასკნელებიც აგრეთვე ვალდებული არიან 27 სექტემბრამდე გატარდენ აღწერაში, რომელიც მოხდება მე-2-ე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის ქ. № 96), 11—2 სათ. დღ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ის პირები, რომლებიც 27 სექტემბრამდე არ გატარდებიან აღწერაში საპატიო მიზეზის გარეშე (საპატიო მიზეზი არის შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა), იქნებიან სავსებით მოხსნილი აღრიცხვიდან და მათი საქმეები გადაიგზავნება ტფილისის კომიტეტში.

მდივნის მაგიერ: **ნაზაროვი.**

—

აღრიცხვაზე აღება.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ქართული მუშფაკიდან გამოცხადდენ რაიკომში რეგისტრაციაზე აღრიცხვაზე ასაღებათ.

რეგისტრაციაში უნდა გატარდენ ყველა კომუნისტები (წევრები და კანდიდატები), მიუხედავათ იმისა, იყვნენ ისინი სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედში წინათ, თუ ახლად შევიდენ.

რეგისტრაცია მოხდება 25 სექტემბრამდე (ჩათვლით) 9—3 საათ. დღ. და საღამოს 6—9 საათამდე.

ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან რეგისტრაციაზე მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან რაიონში და მათი საქმეები გადაიგზავნება ტფილისის კომიტეტში.

—

საორგანიზაციო კრება.

სამშაბათს, 25 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე რეალური სასწავლებლის შენობაში (სამოსწავლო შესახვევის და განაპირა ქუჩის კუთხე) შესდგება უჯრედის პირველი საორგანიზაციო კრება, რომელზედაც პარტიული დისციპლინის ძალით ვალდებულია უჯრედის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

დღის წესრიგი:
1. უჯრედის მომავალი მუშაობა.
2. უჯრედის მდივნის და ბიუროს არჩევნები.
3. მიმდინარე საქმეები.

ადგილობრივად ცნობების მიწოდება უჯრედის სხდომის და რეგისტრაციის შესახებ ევალება ამხ. ოდილავაძეს (სახელმწიფო უნივერსიტეტიდან) და ამხ. დარახველიძეს (მუშფაკიდან).

მდივნის მაგიერ: **ნაზაროვი.**

—

მდივნების თათბირი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს სექტემბრის 24-ს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მეორე რაიკომის მდივნების თათბირი.

დღის წესრიგი:
1. პოლიტიკური განათლების შემოწმება.
2. ტფილისის კომიტეტის ცირკულიარის განმარტება.
3. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა უჯრედების ყველა მდივნების დასწრება დაუგვიანებლათ.

მდივნის მაგიერ: **ნაზაროვი.**

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(21 სექტემბერი).

ჩერვონცები — —	— 47,800
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	44,800
ჩეკები —	42,700
დოლარები ეფექტ.	— 9,700
" ჩეკები	— 9,050
ოსმ. ქალ. ლირა	6.350
იტალიური ლირა	310
ფრანგული ფრანკი	445
საბჭ. ფულის ნიშნები	15 ნახ.
ოქროს მომგებ. სესხი 1 მ.	4600

მუშკოპის ფასები.

(21 სექტემბერი).

პური 2 ხარ. გირ.	—180.
ფხვნილი შაქარი	—2445 ათ.
შაქარი — რაფ.	— 2025
ძროხის ხორცი	— 1000
ცხვრის ხორცი	— 1400
მაკარონი გირ.	— 730
კარტოფილი	— 125

ტფილისის ბაზრის ფასები.

(21 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.	— 300 ათ.
პური 2 ხარ.	— 200
ფხვნილი შაქარი	—2200.
შაქარი რაფინადი	—2,400.
ძროხის ხორცი	—1200 ათ.
ცხვრის ხორცი	—1500 ათ.
ალდაშის ბრინჯი	—500
მაკარონი	—800
კარტოფილი	—150

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(21 სექტემბერი.)

ტომრები. ფხვნილი შაქარი რუსეთის. ფანერა კაკლის, მუხის. ვლადიკავკავის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი. მატყლი. საღებავები. ფეხსაცმელები. მანუფაქტურა რუსული, აგური და ცეცხლის მძლე თიხა. მზესუმზირას ზეთი. ფანჯრის მინები. კაუსტიური სოდა. რუსული ასანთი. ცემენტი. ქაღალდი. ქვა-მარილი ნახიჩევანის.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

შუშა. გოგირდი რუსული. ასანთი. ფეხსაცმელები. რკინა. რუსული მანუფაქტურა. საპონი. ნარმა. ყუბანის და ადგილობრივი რაზმოლი. ნედლი ტყავი. ცემენტი, ქვამარილი. ტომრებ ჩაი-ცეილონის. ყუბანის ფქვილი. [illegible]რი. მზესუმზირას ზეთი.

საქონლის ბაზრის [illegible]

(21 სექტემბერი)

ტფილისის საქონლის ბაზარზე 21 სექტემბრის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა.

ქალაქის საბჭოს სექციები

სახალხო განათლების სექციაში

19 სექტემბერს ქვორუმის არშედგომის გამო სექციის პლენუმის ნაცვლად გაიმართა სექციის წევრთა კერძო თათბირი, რომელზედაც სახალხო განათლების ტფილისის განყოფილების გამგემ, ამხ. ქაცარავამ გააცნო დამსწრეთ სკოლების მდგომარეობა.

სკოლის რეფორმის გამო, სკოლებში გამოშვება არ მომხდარა. სკოლები წარსულ წელშიც სავსე იყო. 85 შრომის სკოლასთან განზრახულია ბავშვთა ბაღის გახსნა. ამავე დროს ტეხნიკუმებისაგან არაფერი არ განთავისუფლებულა, ერთი ოთახიც კი. ამიტომ განათლების განყოფილების წინაშე დგას ამოცანა—გამონახოს თავისუფალი შენობები.

ცოტა რამ ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა. გამოირკვა, რომ 6 სასწავლებელში საეკლესიო შენობები არ არის გამოყენებული. ახლა ისინი გამოყენებული იქნებიან.

ახლა იწყება სკოლებში ბავშვების მიღების კამპანია. ამ მუშაობაში სექციის წევრები უნდა დაეხმარონ განათლების განყოფილებას და იმ სკოლებში, სადაც მოსალოდნელია ბევრი თხოვნების შემოსვლა, თავის დროზე უნდა იქნან გაგზავნილი სექციის წევრები თხოვნების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. საჭიროა, რომ მიღების წესი დაცული იქნას სავსებით. პირველ რიგში მიღებული უნდა იქნან ფიზიკურად მომუშავეთა შვილები.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სკოლების ნაწილი განაწილებული იქნა სექციის წევრებს შორის. სულ განაწილებულია 26 სკოლა.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა სექციის იმ წევრების მოხსენება, რომლებიც გაგზავნილი იყვენ სკოლებში რემონტისათვის თვალყურის სადევნელად. ბევრ სკოლებში უკვე დაიწყო რემონტი.

ამ მოხსენებებიდან ბევრი საინტერესო რამ გამოირკვა.

ასე, მაგალითად: მეოთხმოცდაცამეტე სკოლა მოთავსებულია სომხური ეკლესიის ეზოში და საშინლად არის შევიწროებული. იმავე ეზოში კი არის სახლი, რომელიც იჯარით არის გაცემული, იჯარას კი მღვდელი აგროვებს.

მეოცდაერთე სკოლაში გამგეს უჭირავს ოთხი საუკეთესო ოთახი, თვითონ კი ამჟამად შვებულებაში არის, გერმანიაში იმყოფება. დარაჯი ქალი კი, სადღაც ბნელ კუნჭულშია მოთავსებული და როგორც ყმა ემსახურება ქ-ნ ნერელს და თვალყურს ადევნებს მის ბინას.

„ახალგაზრდა მარქსისტების" დაშლა

საინიციატივო ბიუროსაგან

„ახალგ მარქსის

სრ. საკავშ. ს.-დ. მ. პარტიის (მენშევიკების) მომწვევი **საინიციატივო ბიუროს** დადგენილებით მიმაგრებული იქნენ ახალგაზდა მარქსისტთა საინიციატივო ბიუროებთან შემდეგი ამხანაგები:

ტფილისში—ჩლაიძე, რუხაძე და ვარდოიანი.
პირველ რაიონში, ჩლაიძე (დეპო).
მეორე " თედოშვილი (ტრამვაი).
მესამე " ვაჭარაძე (საფლაო).
მეოთხე " ალიხანოვი (დამხ. კ.)
გორის მაზრ.—ნ. ქერეჭაშვილი.
ქუთაისში—თ. ჭუმბურიძე.
ბათომში—ყუფარაძე და მაჩაბელი.
თელავში—ჩიტოშვილი.
სიღნაღში—ბაზიარ რაჟ.
ხაშურში—კვალიაშვილი.
ბორჯომში—როსტომაშვილი.

სრ. საკავშ. სოც. დემ. მ. პარტიის მომწვევი საინიციატივო ბიურო.

გურიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების კონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

გურიის ახალ. მარ. სამაზრო ორგანიზაციების სალიკვიდაციო კონფერენციას ხსნის საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე აპ. ლომთათიძე, რომელიც მიმართავს დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით:

ა. ლომთათიძე. მეტად საინტერესო პირობებში გვიხდება კონფერენციის გახსნა. ჩვენს კონფერენციას ეწვია კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ბუხარინი და სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევ საინიციატივო ბიუროს წევრი ამხ. აკაკი ქუონია (ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

8 სექტემბერი გურიის ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიაში ისტორიულ დღეთ დარჩება. დღეს ორ ახალგაზრდა მოძმეთა შორის ჩატეხილი ხიდი მთელდება და უფსკრული ივსება; ერთი ნაწილი ამ ახალგაზრდობისა, რომელიც აქობამდე იპორტიუნიზმის საშინელ ჭაობში იხრჩობოდა, კვლავ უბრუნდება თავის რევოლიუციონურ ოჯახს. ჩვენი წარსული ტაქტიკის შეფასებამ და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებამ მიგვიყვანა ჩვენ ამ დასკვნებამდე, რასაც საჯაროდ დაადასტურებს დღეს შეკრებილი კონფერენცია. მოგესალმებით რა გურიის ახ. მარ. ორ. სამაზრო სალიკვიდაციო კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიუროს სახელით, გისურვებთ ამ ნიადაგზე ენერგიულ მუშაობას. (ტაში).

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვა სთქვა სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევ საინიციატივო ბიუროს სახელით ა. ქუონიამ, გურიის პარტკომის დავალებით თ. დოლიძემ და კომკავშირის წევრმა კ. ღლონტმა.

დღის წესრიგი.

1. პრეზიდიუმის არჩევნები, 2. სამდივნოს არჩევნები, 3. სამანდატო კომისიის არჩევნები, 4. ამხ. ბუხარინის მოხსენება **„რუსეთის რევოლიუციის ამოცანები და ევოლიუცია მარქსიზმში"**, 5. პარლამენტარიზმი თუ პროლეტარიატის დიქტატურა სახ. მარ. ორ. თვითლიკვიდაცია—მომხ. შ. სიხარულიძე). 6. საბჭოთა აღმშენებლობა და ეროვნული საკითხი (მომხ. გ. გიორგაძე), 7. არჩევნები სრულიად საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებისა, 8. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმის არჩევნები:

პრეზიდიუმში ერთხმად იქნენ არჩეული შემდეგი პირები: 1. ა. ლომთათიძე, 2. გ. გიორგაძე, 3. გ. ურუშაძე, 4. ღლონტი ტიტიკო, 5. სიმონია სანდრო, 6. გ. ებრალიძე, 7. გ. კომახიძე.

საპატიო თავმჯდომარეებად.

ლენინი, ბუხარინი, მახარაძე, ცხაკაია, ფარნი[illegible], დევდარიანი (კომკავშირიდან).

სამდივნოს არჩევნები.

სამდივნოში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1. შალვა სიხარულიძე 2. ღლონტი არ. 3. მშვიდობაძე, სამანდატოკომისიაში არჩეულ იქნა: 1. ვ. ჯიჯეიშვილი, 2. აზ. ჯაში, 3. ს. მეგრელიშვილი.

ამხ. ბუხარინის მოხსენება.

ამხ. ბუხარინი თავის მოხსენებაში შეეხო რუსეთის რევოლიუციის ძირითად ამოცანებს და დაახასიათა მარქსიზმი [illegible]. მან აღნიშნა მენშევი[illegible], ესერების და სხვა პოლიტიკური პარტიების დაშლის პრო[illegible], რომელიც [illegible] მისი [illegible] მიმდინარეობს საბ[illegible] სოციალ - პოლიტიკური [illegible]ების გაუმჯობესებიდან. ილაპარაკა მენშევიკების სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე და ხაზი გაუსვა მათ კლასიურ თანამშრომლობის თეორიას, რაიც პარლამენტარიზმის ძირითად ბუნებას შეიცავს. ახალგაზრდა მარქსისტების შესახებ ბუხარინმა სთქვა „ახალგაზრდობა საერთოდ ბუნებით რომანტიკოსია, რომელიც ვერ ეგუება დოგმატიკოსობას და შაბლონს, ამისათვის სავსებით ბუნებრივია, რომ მათ კლასიურ თვითშეგნებაში, რადიკალური გარდაფასება მიმდინარეობს" დასასრულ, ბუხარინმა ილაპარაკა ბურჟუაზიული ევროპის დაშლის პროცესზე და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე, ხაზი გაუსვა ინგლის-საფრანგეთ ამერიკის დამოკიდებულებას. (დამსწრე საზოგადოება მოხსენებით დიდათ კმაყოფილი დარჩა, ოვაციები გაუმართა მომხსენებელს და ინტერნაციონალის სიმღერით დაფარა ორატორის უკანასკნელი სიტყვები).

პარლამენტარიზმი თუ პროლეტარიატის დიქტატურა.

ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. სიხარულიძემ მან პირველად ილაპარაკა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ისტორიული დამსახურების შესახებ, ხაზი გაუსვა მთავარ მომენტებს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ისტორიაში. ილაპარაკა იმ კონფერენციის შესახებ, რომელიც მთავარი მნიშვნელობისაა ამ ორგანიზაციის ისტორიაში, რომელზედაც არსებითად იჭრებოდა პრინციპიალურად სადაო საკითხები და რომელზედაც უპირისპირდებოდა ორი მიმდინარეობაო შ. დუდუჩავას ჯგუფი და ყიასაშვილის მიმდევრები. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციის ამ ბოლო ხანებში დაქვეითებას და მის არსებითად გარდაქმნას. ამას შემდეგ მან ილაპარაკა ოქტომბრის რევოლიუციის ორგვარი შეფასების შესახებ. აღნიშნა ის შეცდომები, რომლებიც დაუშვა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ თებერვლის რევოლიუციის ხანებში, ხაზი გაუსვა პარლამენტარიზმის ძირითად პრინციპებს, რომლის არსებითი თვისებას კლასთა თანამშრომლობა შეადგენს, ილაპარაკა პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპების შესახებ, გაარკვია თანამედროვე ისტორიული სინამდვილე და ახალგაზრდობის დანიშნულება და მოუწოდა დამსწრე პირებს კომკავშირებთან ერთად თანამშრომლობისაკენ (მოხსენება სერიოზული შინაარსისა იყო რომელმაც გასტანა 1 ნახ. საათი.).

ამხანაგ შ. სიხარულიძის მოხსენების გარშემო ილაპარაკა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრმა, ამხ. შ. დუდუჩავამ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

შემდეგ ილაპარაკეს გ. გიორგაძემ და სიმონიამ.

საბჭოთა აღმშენებლობა და ეროვნული საკითხი.

ამხ. გ. გიორგაძემ თავის მოხსენებაში [illegible] საკითხზე ხაზი გაუსვა საბჭოთა აღმშენებლობის შემოქმედებას, აღნიშნა ის ეკონომიურად მოლონიერება, რომელსაც განიცდის დღეს საბჭოთა ქვეყნების სინამდვილე, მრავალი დაბრკოლებების შემდეგ. ილაპარაკა ბურჟუაზიულ ევროპაში მიმდინარე წარმოების დაცემის შესახებ. დაახასიათა საბჭოთა მუშური კანონმდებლობა, რომლის მზგავსი არ ახსოვს მუშათა მოძრაობის ისტორიას. შეჩერდა საბჭოთა საქართველოში მუშების ეკონომიურ მდგომარეობაზე. შემდეგ ამხანაგმა ილაპარაკა ეროვნული საკითხის შესახებ. მსმენელების მთავარი ყურადღება მიაქცია მე-12 ყრილობის დადგენილებაზე ამ საკითხზე. ილაპარაკა საქართველოს ფიქტიურ დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც იყო მენშევიკების დროს და ხაზი გაუსვა საქართველოს დღევანდელ ნამდვილ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. შემდეგ ამისა მან ილაპარაკა საქართველოში წითელი ჯარის შესახებ და აღნიშნა, რომ მისი არსებობა მიუცილებელია, სანამ არ არის აცილებული საშიშროება უცხოეთის ინტერვენციისა, სანამ არ შექმნილა ადგილობრივი წითელი ჯარი. დასასრულ, მომხსენებელმა ილაპარაკა ჩვენი მომავალი ტაქტიკის შესახებ, მოხსენება სერიოზული აღმოჩნდა.

ამხ. გიორგაძის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს შ. დუდუჩავამ, ბ. შარაშანიძემ, სიმონიამ, სიხარულიძემ და სხვებმა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ სამანდატო კომისიამ წამოაყენა თავისი ანგარიში. სამანდატო კომისიამ დაამტკიცა 71 დელეგატის მანდატი. არჩევნების ნორმა უდრიდა 10 კაციდან 1 კაცს. კონფერენციაზე უნდა გამოცხადებულიყო 86 კაცი, მაგრამ ტეხნიკური მიზეზების გამო 15 კაცი არ გამოცხადებულა. კონფერენცია აერთიანებს 860 კაცამდი.

სამანდატო კომისიის ანგარიში შეუცვლელად იქნა მიღებული.

რეზოლიუცია.

შემდეგ ამისა კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

გურიის ყოფ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციების გაერთიანებული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 71 დელეგატი, გაუქმებულად აცხადებს გურიის ახ. მარქსისტთა ორგანიზაციებს.

გურიის რევოლიუციონური ახალგაზრდობის თვით გამორკვევის გზაზე დამდგარი ნაწილი, რომელმაც ერთგვარი რეზიუმე გაუკეთა თავის ნამუშევარს, შეაფასა რა ამ ორგანიზაციის დიდი ისტორიული წარსული, რომელიც ასე რიგად დაჩრდილა საქართველოს უკანასკნელი სამი წლის სინამდვილემ,—გულწრფელად აღიარებს გაუგებრობაზე აღმოცენებულ შეცდომებს თავიანთ უფროს ამხანაგებთან ერთად რევოლიუციონური პროლეტარიატის წინაშე. ოქტომბრის რევოლიუციის შემცდარმა შეფასებამ და ობიექტიური სინამდვილის ოპორტიუნისტული თვალსაზრისით გაგებამ მიიყვანა ქართველი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა თავიანთ მასწავლებლებთან ერთად კლასთა აშკარა შეთანხმებისა და კლასთა თანამშრომლობის თეორიამდე, რაიც რევოლიუციონური მარქსიზმის ძირითადი პრინციპების უარყოფით დამთავრდა. თანამედროვე სინამდვილის ობიექტიურმა შეფასებამ და ოქტომბრის რევოლიუციის [illegible] რადიკალურად წამოაყენა საკითხი 2-ე ინტერნაციონალის [illegible] მდგარ საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის წინაშე თავის ისტორიულად შეუსაბამო პლატფორმის შეცვლის შესახებ. 25 აგვისტო მენშევიკურ მასაში მომხდარ გარდატეხისა და კლასიური გამოფხიზლების გამომჟღავნების დღეთ უნდა ჩაითვალოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიაში. ამ დღეს სრულიად საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ყრილობამ ტფილისში—მიღებულ რეზოლიუციაში ხაზი გაუსვა ამ პარტიის ისტორიაში თავის შეცდომებს.

დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც მმართველობის პოლიტიკური ფორმის, ისტორიული შეუსაბამობა და პარლამენტარიზმის მიუღებლობა თანამედროვე სინამდვილემ საკმაოდ ნათელყო, რაიც მოითხოვდა, შესწორებას და რევოლიუციონირების რევოლიუციურ მარქსიზმთან დაბრუნებას.

ეს მისია, რომლისთვისაც მოწოდებულია პროლეტარიატი. დღეს საქართველოში პირნათლად შეასრულა ყოფილ მენშევიკურმა მასამ, პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმის არჩევით და დემოკრატიზმის გზის უარყოფით.

გურიის რევოლიუციონური ახალგაზრდობის მოწინავე რიგები, რომლებმაც სისწორით შეაფასეს თანამედროვე ისტორიული სინამდვილე, მივიდნენ იმ დასკვნებამდე, რომ ერთად ერთი სავალდებულო გზა მუშათა ახალგაზრდობისათვის არის გზა პროლეტარიატის დიქტატურის, ღებულობს რა კონფერენცია მხედველობაში თანამედროვე პირობებს, ფიცს სდებს საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, რომ ის არასოდეს არ უღალატებს მის ძირითად პრინციპებს.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა გაერთიანებულ ფრონტს.

გაუმარჯოს მე-3 ახ. კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენციამ აირჩია სრულიად საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობაზე დასასწრები დელეგატები 50 კაციდან ერთი კაცი.

დელეგატებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ა. ლომთათიძე, შ. სიხარულიძე, გ. გიორგაძე, ჯ. ღლონტი, ს. სიმონია, გ. კომახიძე, ს. ღლონტი, გ. ებრალიძე, გ. ურუშაძე, ვ. დოლიძე, ა. არონიშიძე, ზ. ჯაში, გ, სანიკიძე, ი. კვერენჩხილაძე, მ. აბაშმაძე, ვ. ჯიჯეიშვილი, ა. მეგრელიშვილი.

კანდიდატებად:

გ. კალანდაძე, ე. ხუბუტია.

შემდეგ ამისა კონფერენციამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს 1. სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევ საინიციატივო ბიუროს, კომპარტიის ცეკას და კომკავშირის ცეკას და 3 ლეგალურ ყრილობას. კონფერენცია დიდი ზეიმით დასრულდა.

„ახალგაზრდა მარქსისტების" განცხადება

ახალგაზრდა მარქსისტების პირველი რაიონის ორგანიზაციის შემდეგი წევრები თავს აცხადებენ ამ ორგანიზაციიდან გამოსულებად რწმუნდებიან რა იმ შეცდომებში, რომლებიც დაუშვა საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიამ და მასთან განუყრელად დაკავშირებულმა ახალგაზრდათა მარქსისტთა ორგანიზაციებმა:

ბურჭულაძე სერგი, შოვნაძე ვალერიან, ჭეიშვილი ა., ვალერიან ბურჭულაძე, ბუგუნაშვილი, სოფიო ხელაშვილი, ალ. წადირაშვილი, გვიმბრაძე, სიმონია ალ. ჯოხაძე ვალერიან, გრიგორიეშვილი შურა, კეკელიშვილი, ჯაიანი რაჟდენ, გორდელაძე, ხავთასი, კალანდაძე გაბრიელ, გიორგაძე, კობალავა ვანო, ღლონტი ვანო, ცერცვაძე ვასო, გოგიბერიძე, გოგილაძე ვასილი, თალაკვაძე როლანდი, გობრონიძე, ჯიბერიძე შალვა, კვერენჩხილაძე კ., მურმანიძე, ღლონტი, სიხილიძე აკაკი, კეკელია, ცინცაძე აკაკი, სიხილიძე გრიგოლი, სიხილიძე ავთანდილი, მარშანია, გორდელაძე ალექსანდრე, გოგილაძე, როთველიშვილი, ადეიშვილი, კანდელაკი, მიხეილ ბაკურაძე, ბერიშვილი, ბაკურაძე, ვერელიშვილი, პაიჭაძე გიორგი.

ინჟენერო-ტეხნიკურ ძალების საზოგადო კრება

17 სექტემბერს საღამოს 7 საათზე შესდგა მელითონეთა, ადგილობრივ ტრანსპორტის და სახალხო კავშირის საკავშიროების ინჟინერ-ტეხნიკურ ძალთა საერთო კრება.

დღის წესრიგს შეადგენდა: 1) სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალების ბიუროს ერთი წლის მოქმედების ანგარიში, 2) საწევრო გადასახადის დაწესება, 3) ბიუროს მუდმივი პასუხისმგებელი მუშაკის დანიშვნა, 4) ბიუროს გადარჩევა, 5) დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს ტეხნიკურ ძალთა ყრილობაზე—და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებამ ამოარკვია, რომ ბიუროს ვერ უწარმოებია სათანადო მუშაობა. მან ვერ შესძლო ერთი წლის განმავლობაში თავი მოეყარა ყველა ტეხნიკური ძალებისათვის, ჩაება ისინი ერთ მთლიან მუშაობაში, გამოემუშავებინა მოქმედების საერთო გეგმა.

დასახული მიზნის შესრულებას ხელს უშლიდა უმთავრესად ის გარემოება, რომ საინჟენერო-ტეხნიკური პერსონალი დატვირთულია [illegible] საპასუხისმგებლო საქმეებით და არ ხერხდებოდა მათი თავის მოყრა და შესაფერი მუშაობის გაჩაღება.

საერთო კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ სცნო და გადასწყვიტა მუშაობის გასაცხოველებლად ბიურო გადარჩეული იქნეს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მეორე საკითხის შესახებ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად საწევრო გადასახადი განსაზღვრულ იქნა ერთი თვის ჯამაგირის 1 პროცენტით.

მეორე საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არჩეულ იქნა ბიუროს პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც იქნება ბიუროს წარმომადგენელი კავშირის ცენტრალურ გამგეობაში სათათბირო ხმის უფლებით.

პასუხისმგებელ მუშაკის არჩევის დასასრულს მოხდა ბიუროს წევრთა ხელახალი არჩევნები.

გამოცვლილ იქნენ ბიუროს ყველა ძველი წევრები ერთის გამოკლებით. ბიურო შესდგება 5 წევრისა და 3 კანდიდატისგან.

საინჟენერო-ტეხნიკურ ძალების სრ. საქართველოს კონფერენციაზე დელეგატობა დაევალა ახალ ბიუროს მთელი შემადგენლობით.

სხდომა საღამოს 9 საათზე შეწყდა.

სიმართლე მესამე ტეხნიკუმის შესახებ

„ტრიბუნის" 16 სექტემბრის 574 ნომერში მოთავსებულია ორი წერილი „მოწაფეთა ხმა" და „დიდი უსამართლობა", რომელთა ავტორები, ორი მოწაფე და ერთი მშობელი გულის ტკივილით და დიდის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, თითქო კომისარიატმა არ მიიღო მხედველობაში მესამე ტეხნიკუმის (ყოფილი ქართული გიმნაზია) წარსული დამსახურება, არ გაუწია ანგარიში იმ გარამოებას, რომ ამ სასწავლებლის პატრონებმა მთავრობას გადასცეს დიდი ღირებულების ქონება, საქმის აუწონ-დაუწონელად დახურა სასწავლებელი და ამრიგად მოუსპო 300 მოწაფეს, რომლებიც ამ ტეხნიკუმში სწავლობდენ, თავისი საყვარელი კერა.

ეს ორი წერილი თავისი შინაარსით და კილოთი ერთი მეორისაგან დიდად არ განსხვავდება. ხოლო, ვფიქრობთ, ის, რაც მოეტოვება მოწაფეს, ახალგაზრდას, რომელიც ყმაწვილური გატაცებით მსჯელობს გრძნობის გავლენის ქვეშ, არასოდეს არ ეპატიება მშობელს, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ანგარიშს უნდა უწევდეს და გონების თვალსაზრისით მსჯელობდეს ისეთი სახელმწიფოებრივ საქმეებზედ, როგორიცაა საზოგადოთ სკოლის რეორგანიზაციის საკითხი.

„დიდი უსამართლობის" ავტორს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ განათლების კომისარიატს, მას აქეთ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, არც ერთი სასწავლებელი არ დაუხურავს და ამრიგად მოწაფეები სკოლის გარეშე არ დაუტოვებია.

სკოლების რეორგანიზაციის დროს კომისარიატი თავისი პირველი მოღვაწეობის ხანაში და აგრეთვე წარსულ სასწავლო წელსაც, სხვადასხვა პედაგოგიური მოსაზრებით, მოწაფეების გადაჯგუფებას ახდენდა და არა სასწავლებლებს ჰხურავდა.

„დიდი უსამართლობის" ავტორი „მშობელი" რომ საქმის ნამდვილ ვითარებას თვით კომისარიატში გაეცნობოდა, საცა, უეჭველია, უტყუარ ცნობებს მიიღებდა, თავისი წერილის კილოს სხვაფრივ მომართავდა და საზოგადოებას „იერემიას გოდებით" არ მიმართავდა.

მესამე ტეხნიკუმის, თითქო, დახურვის ნამდვილი ისტორია ასეთია:

გასული სასწავლო წლის დამლევს განათლების კომისარიატმა მოახდინა სკოლების რეორგანიზაცია. ამ რეორგანიზაციის მიხედვით ჰუმანიტარული ტეხნიკუმები თანდათან უნდა დახურულიყო და მათ მაგიერ უნდა გაგვეხსნა ცხრა წლიანი შრომის სკოლები. კომისარიატში შესდგა სათანადო კომისია, რომელსაც დაევალა მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე სასწავლებლების ბინის მხრივ უზრუნველყოფა. კომისია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიუდგა ამ რთულს და პასუხსაგებ საკითხს და სრულის ობიექტივობით იცავდა როგორც მოწაფეების, ისე მშობლების ინტერესებს სასწავლებლების გადაჯგუფების დროს.

კომისიის კრებაზედ სწორედ „ტეხნიკუმის დაინტერესებული გამგე" იცავდა მესამე ტეხნიკუმს და დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ეს სასწავლებელი გადაეკეთებინათ სპეციალურ აგრონომიულ ტეხნიკუმად, მაგრამ კომისიის წევრებმა ეს აზრი სამართლიანად და საფუძვლიანად ვერ დაინახეს.

ვეკითხებით „მშობელს", შეიძლება თუ არა აგრონომიული ტეხნიკუმის არსებობა ბებუთოვის ქუჩაზედ, საცა სასწავლებელს ერთი მტკაველი მიწაც არ მოეპოვება. ამ-

რიგად კომისიაში გადაწყდა, რომ მესამე ტექნიკუმიც სხვა ტექნიკუმებთან ერთად დარჩენილიყო ჰუმანიტარულად და კომისარიატის საერთო დადგენილების თანახმად თანდათანობით დახურულიყო. კომისია შემდეგ შეუდგა დარჩენილი ჰუმანიტარული ტექნიკუმების გადაჯგუფებას.

კომისიის წევრებმა ძალიან კარგად იცოდნენ მესამე ტექნიკუმის წარსული და აწმყო მოღვაწეობა, მაგრამ ამავე დროს ისიც კარგად იცოდნენ, რომ მესამე ტექნიკუმი მოთავსებული იყო მანთაშევის ყოფილ სკოლაში, საცა მეცადინეობა არანორმალურ პირობებში სწარმოებდა.

წარსული წლის განმავლობაში მესამე ტექნიკუმს საღამოობით უხდებოდა მეცადინეობა, ვინაიდან იმავე შენობაში მოთავსებული იყო ორმოცდამესამე შრომის სკოლა. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მესამე ტექნიკუმის შრომის სკოლის გამგეებს შორის განუწყვეტელი დავა იყო გამართული სასწავლებლის შენობის შესახებ, რაიცა, უეჭველია, აფერხებდა წარსულ წელში სწავლის ნორმალურად მიმდინარეობას.

კომისიას განზრახვა ჰქონდა გამოესახლებინა მანთაშევის ყოფილი სკოლის შენობიდან ორმოცდამესამე შრომის სკოლა, მაგრამ ეს ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა მრავალის მოსაზრების მიხედვით. პირიქით, ამ შენობაში მოათავსეს ასმერვე შრომის სკოლაც და ამრიგად მესამე ტეხნიკუმის ძველ შენობაში დატოვება, და ისეც კიდევ უფრო ანორმალურ პირობებში, კომისიამ ყოვლად დაუშვებლად და მიუღებლად მიიჩნია.

ასეთი გარემოებაც რომ არ შექმნილიყო, მესამე ტექნიკუმის სოლოლაკში დატოვება კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, ვინაიდან ამ სასწავლებლის მოწაფეთა დიდი უმრავლესობა სცხოვრობს ვერაზე, დიდუბეში და ნაძალადევში, რომელთათვის მეტად სამძიმოა ასე შორიდან სიარული, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს მოწაფეები მუშებისა და ღარიბი მშრომლების შვილებია.

მესამე ტექნიკუმის **მოწაფეების და მშობლების დიდსა და დიდს უმრავლესობას კომისარიატისათვის არა ერთხელ მიუმართავს შუამდგომლობით სასწავლებელი დაგვიახლოვეთ და მოგვეცით საშუალება ჩვენ შვილებს ნორმალურ პირობებში მივცეთ განათლებაო.**

კომისარიატმა ამ ფრიად საგულისხმიერო შუამდგომლობას გაუწია ანგარიში და ვალდებულიც იყო მხედველობაში მიეღო მშობლების და „არა ერთი მშობლის“ სრულიად სამართლიანი მოთხოვნა და კიდევაც ამიტომ გადასწყვიტა მესამე ტეხნიკუმის მოწაფეების პირველსა და მეორე ტეხნიკუმებში დაბინავება.

წარსულ სასწავლო წელს ტფილისში არსებობდა 24 ტეხნიკუმი, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს დარჩება 16 ტეხნიკუმი იმ აზრით, რომ არც ერთი მოწაფე სკოლის გარეშე არ დარჩეს და ყოველს ექვს გარეშეა არც დარჩება.

ამრიგად „დიდი უსამართლობის“ ავტორის გოდება—კომისარიატმა მესამე ტეხნიკუმი თითქო დახურაო, სრულიად სიმართლეს მოკლებულია. პირიქით, სასწავლებელი მიუახლოვდა მოწაფეებსა და მშობლებს, რაიცა ასე საჭირო იყო, და ამ შეჯგუფების დროს პირველისა, მეორეს თუ მესამე ტეხნიკუმის სახელწოდებით დარჩება მესამე ტეხნიკუმი, ამას არსებითად მნიშვნელობა არა აქვს.

პროფ. ტეხნ განათ. მთავარი მმართველობა.

ქრონიკა

— **ლოტორეა-ალეგრის მოწყობის მონოპოლიური უფლება.** მთავრობის დადგენილებით, რესპუბლიკის საზღვრებში მონოპოლიური უფლება ლოტორეა-ალეგრის მოწყობის გადაეცა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს. ტფილისში ლოტორეა-ალეგრის მოსაწყობათ საჭიროა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნებართვა, მაზრებში ასეთი ნებართვის გაცემა შეუძლიათ კომისარიატის სამაზრო რწმუნებულებს.

— **გლეხთა კომიტეტები ხევსურეთში.** ხევსურეთის გამოკლებით თიანეთის მაზრის ყველა თემებში მოეწყო საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტები. გლეხთა საურთიერთო დახმარების საქმის მოსაგვარებლათ ზემო-აღნიშნულ მაზრაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა.

— **მოწოდებების და სახელმძღვანელოების დაბეჭდვა გლეხთა კომიტეტების მოსაწყობათ.** ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტის განყოფილებამ საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების მოსაწყობათ დაბეჭდა და გაავრცელა მაზრებში 5.000 ცალი მოწოდება და 2.000 ცალი სახელმძღვანელო დარიგებები.

— **სამეცნიერო შრომა.** დავით პოლიეფქტის ძე კარბელაშვილმა დასწერა სამეცნიერო გამოკვლევა სათაურით: „ქართველ ტომების უძველესი ბინადრობა“. ჯერ-ჯერობით დამთავრებულია გამოკვლევის პირველი ნაწილი „ქართველები ინდოეთში და კუნძულ ცეილონზედ“, გამოკვლევას დართული ექნება ინდოეთ-ცეილონის რუქა ქართულ ნომენკლატურის ჩვენებით. ამ გამოკვლევის წაკითხვას ამ ახლო მომავალში ავტორი აპირებს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

— **შრომის ბირჟა.** 19 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 563, ახლად ჩაეწერა 151, გაიგზავნა სამუშაოზე 85 კაცი.

— **რკინისგზის სექცია.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა რკინისგზის შრომის სექცია გადმოტანილ იქნეს შრომის ბირჟის შენობაში.

— **სახლი უმუშევართათვის.** საბინაო კოოპერატივმა შრომის ბირჟას გადასცა ერთი სახლი, რომელშიდაც მოთავსებულნი იქნებიან მხოლოდ უსახლკარო უმუშევარნი.

— **ტრამვაის ახალი ვაგონი** გუშინ დილის 11 საათზე ტრამვაის პარკიდან საცდელათ გამოუშვეს ტრამვაის ახალი მატორიანი ვაგონი № 106.

— **616 პოლიტიკური წრე.** ახალგაზრდათა კომკავშირს ამჟამად აქვს 616 პოლიტიკური წრე, რომლებშიდაც ირიცხება 9,508 კაცი.

— **წყლის გადასახადისაგან განთავისუფლება.** ქ. აღმასკომმა დაადგინა წყლის გადასახადისაგან გაანთავისუფლოს ინვალიდები, პენსიონერები და უმუშევრები, რომელნიც იმყოფებიან სოციალურ დაზღვევაზე.

— **ეკლესიის გაქურდვა.** 16 სექტემბერს ბოროტ-გამზრახველებმა გაქურდეს კოჯორის წმ. გიორგის ეკლესია. წაღებულია საეკლესიო ძვირფასი ნივთები.

— **მინდვრის თაგვები ბაკურიანის რაიონში.** როგორც ბაკურიანიდან იტყობინებიან ბაკურიანის რაიონში საგრძნობლად გავრცელებულა მინდვრის თაგვები, რომლებიც მუსრს ავლებენ საზამთრო ნათესებს.

— **კულტურული მცენარეთა ავადმყოფობა.** სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლმა ბიურომ დაადგინა მიიღოს საჭირო ზომები მანგლისის რაიონში გავრცელებულ კულტურულ მცენარეულობის ავადმყოფობათა წინააღმდეგ.

— **მევენახეობა-მეღვინეობა.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა აგვისტოში განსაკუთრებული ყურადღებით ჩაატარა საშემოდგომო სეზონი ალაიანის, ჩუბდაყის, კონდოლის და იყალთოს სანერგეებში.

— **ქუთაისის და ხონის შუა რკინისგზის გაყვანა.** ამჟამად სწარმოებს მეტად ენერგიული და დაჩქარებული მუშაობა ქუთაის-ხონის რკინისგზის გასაყვანათ.

ხელოვნება

აისედორა დუნკანი.

სექტემბრის 21-ს სახელმწიფო ოპერის სცენაზე იცეკვა აისედორა დუნკანმა, რომლის სახელიც განთქმულია ყველგან, სადაც კი კულტურას მცირეოდენ მაინც შეუშუქებია.

აისედორა დუნკანი ნამდვილი რევოლიუციონერია ხორეოგრაფიის დარგში.

ძველს საბერძნეთსა, ეგვიპტესა თუ რომში არ იყო ბალეტი, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

რა თქმა უნდა, ხორეოგრაფია ძველ ქვეყნებშიაც ჰყვაოდა, მაგრამ მაშინ იყო ცეკვა სამღვთო, ცეკვა ვაკხანალური და უმთავრესად პლასტიკა და მიმიკა ჰყვაოდა.

მაშინ ქებათაქებას უძღვნიდნენ, ათაყვანებდნენ ადამიანის სხეულის კულტს და ანტიური ცეკვა ხშირად სრულყოფამდე აღწევდა.

მაგრამ შემდეგ საუკუნეთა მსვლელობაში ხელოვნების წრიდან, სრულებით განიდევნა ხორეოგრაფია. ჩვენამდე მაინც არ მოუღწევია არავითარ ცნობას, რომ საშუალო საუკუნოებში და, თუ გნებავთ, აღორძინების ხანაშიაც ბალეტი განვითარებულიყოს და აყვავებულიყოს.

რა თქმა უნდა, ეროვნული ცეკვის პრიმიტივი დრო და დრო თითქმის ყველგან იყო.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისში კვლავ თავი იჩინა ხელოვნების ამ დარგმა — ხორეოგრაფიამ, — თუმცა სულ სხვა ფორმითა და სხვა მიმართულებით, ვიდრე იყო ძველი ქვეყნების ცეკვა—პლასტიკა.

წარმოიშვა ეგრეთ წოდებული კლასიკური ბალეტი, რომელმაც ხანგრძლივად მოიკიდა ფეხი ევროპის, ამერიკის და რუსეთის დიდ სცენებზე.

აისედორა დუნკანის სკოლა მხარს უქცევს ბალეტის კლასიკურ მხარეს და ხელოვნების ამ დარგს ახალის გზით მიჰმართავს—კვლავ ცოცხლდება ანტიური ცეკვის სახეობა, კვლავ ფეხს იდგამს კულტი ადამიანის სხეულისა.

აისედორა დუნკანს, რა თქმა უნდა, მიმდევრებიც გამოუჩნდა. რუსეთში ყველაზე თვალსაჩინო მათგანი არის პეტროგრადის სახელმწიფო ოპერის ბალეტმეისტერი ფოკინი, რომელმაც პირველად გაატარა ცხოვრებაში რეალისტური სკოლა. მან თითქმის გადააჭარბა კიდეც თავდაპირველ ნიმუშს—აისედორა დუნკანს,—რადგანაც, ფოკინის სკოლის წყალობით, ხორეოგრაფიის კულტი გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით არის გამოყენებული.

ფოკინის მიმდევრად მოსკოვში იყო ცნობილი მორდკინი.

ტფილისში კი, ხორეოგრაფიის სრულებით დამოუკიდებელი სკოლა შექმნა აზარპეტიან-ლისიციანმა, რომელიც ძალიან გვაგონებს ანტიურ ხორეოგრაფიას.

არაჩვეულებრივი საცეკვაო ნომრების განსახიერება აისედორა დუნკანმა პირველად დაიწყო სიმფონიური ხასიათის ნაწარმოებებში.

დუნკანი ცეკვავს შოპენის ვალსს, ბეთჰოვენის სონატას, განკოვსკის სიმფონიას.

როდესაც აისედორა დუნკანის ცეკვას უმზერთ, ნათლად გრძნობთ კომპოზიტორის მიერ გადმოცემულ განცდას. აისედორა დუნკანი თავის შემოქმედებითი ცეკვაში, თავის პლასტიურ მოძრაობაში შიგ აქსოვს მუსიკის აზრს, სამუსიკო ეპიზოდის მითოლოგიურ შინაარსს.

დუნკანი ამ ბოლო დროს მოსკოვში გადმოსახლდა, სადაც მას სრული შესაძლებლობა აქვს დანერგოს და განავითაროს ახალი ხორეოგრაფიული კულტურა.

მუზიკოსი.

— **მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია.** მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში მეცადინეობა დაიწყება 25 სექტემბერს.

— **ლადო მესხიშვილის ქალიშვილის წარმოდგენები.** კვირას, 23 სექტემბრიდან რუსთაველის თეატრში იწყება ნიჭიერ მსახიობ ქალის ბარბარე ალექსი-მესხიშვილის წარმოდგენები. ბარბარე ალ.-მესხიშვილი, შვილია ქართულ თეატრის სახელოვან მსახიობ განსვენებულ ლადო მესხიშვილისა და რუსულ სცენაზე ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად ითვლება ამჟამად.

პროლეტარ მწერალთა კავშირში.

— **მოხსენება.** სამშაბათს, 25 სექტემბერს ხელოვანთა სასახლეში საქართველოს პროლეტარულ მწერლობის კავშირის მორიგ სხდომაზე, კავშირის წევრების და პარტიულ ამხანაგებისათვის გაიმართება მოხსენება შემდეგ თემაზე: „პროლეტარული პოეზიით“. მომხსენებელია ამხ. გრ. კალანდარიშვილი. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— **ახალი გაზეთი.** პროლეტარულ მწერალთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში გამოუშვას ყოველკვირეული გაზეთი.

— **პრეზიდიუმში.** კავშირის გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია ამხ. იონა ვაკელი; გამგეობაში თავმჯდომარეობა იქნება მორიგეობით.

— **სალიტერატურო ორშაბათები.** პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობის დადგენილებით, ხელოვნების სასახლეში ორშაბათები აღებული აქვს კავშირს. ყოველ ორშაბათს გაიმართება ლიტერატურული ბაასი.

— **„ახალი წრე“.** 22 სექტემბერს გაიმართება გრანდიოზული საღამო. თეატრში წარმოდგენილი იქნება რევოლიუციონურ შინაარსის ცნობილი პიესა „ერთხელ საღამოს“... მონაწილეობას ღებულობს ტფილისის საუკეთესო ძალები.

ერთიანი სახელმწიფო კონსერვატორია.

— სპეციალურმა კომისიამ, დაამთავრა რა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსერვატორიების რეორგანიზაცია, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან მოახდინა შეერთება 1-ის და 2-ე კონსერვატორიებისა ერთ სახელმწიფო კონსერვატორიად, რომელიც ორს შენობაში იქნება: 1) —გრიბოედოვის ქ. № 8 და 2) ტროცკის ქ. № 8 (ყოფილი პეტრე დიდის ქ.) კანცელარია იმყოფება ტროცკის ქ.

კონსერვატორიების სარეორგანიზაციო კომისიამ, დაისახა რა მიზნად კონსერვატორიებში სწავლა-ცოდნის აღმატება, ხოლო ამასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილებანიც მოწაფეთაგან, დაადგინა მოახდინოს შესამოწმებელი გამოცდანი მოწაფეთათვის ამა წლის ოქტომბრის და დეკემბრის თვეებში.

შესამოწმებელ გამოცდათა წესრიგი კონსერვატორიის კანცელარიაშია გამოცხადებული.

დაბალ კლასებში მოწაფეთა მიღება არ იქნება.

კონსერვატორიაში მისაღები ეგზამენები უფროს და საშუალო კურსებზე შესასვლელად ცალკე იქნება გამოცხადებული.

პროვინციაში

ს. წყნეთი და მისი სკოლა (თბილისის მაზრა)

წყნეთი იმყოფება ტფილისიდან 6 ვერსის მანძილზე. მიუხედავად კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრთან ასეთი სიახლოვისა, ეს თემი საოცრად ჩამორჩენილია ყოველის მხრით. ეს მართლაც საკვირველი მოვლენაა. საზოგადოდ ქალაქის სიახლოვე ახლო-მახლო ადგილებზე ორგვარ გავლენას ახდენს. თუ ერთის მხრივ ქალაქის სიახლოვე ხელს უწყობს კულტურულ წინმსვლელობას, მეორეს მხრივ ვაჭრულ ინსტინქტებს აღვიძებს და აძლიერებს ადგილობრივ მასაში. ს. წყნეთის მცხოვრებლებზე უკანასკნელის გავლენა გაცილებით ძლიერია პირველზე.

წყნეთში სწავლა-განათლებას უსაშველოდ ეკიდებიან. წყნეთელი თავის შვილს, გახდება ის თუ არა ექვსი ან შვიდი წლის, ძროხებზე ან ნახშირზე სამუშაოდ უფრო აგზავნის, ვინემ სკოლაში. ხშირად შეძლებული გლეხებიც ასე იქცევა.

მოსალოდნელი იყო, რომ რევოლიუცია ყველაფერს ამას მოსპობდა და ხალხს რევოლიუციის დიად იდეებს აზიარებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეს აიხსნება სხვათა შორის იმითაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ვერ დგას თავის სიმაღლეზე. ის გულგრილობას იჩენს საზოგადო საქმიანობაში. მან ვერ შესძლო ხალხის ამოძრავება. ხალხში სუფევს საშინელი სიბნელე. ამასთან საზრუნველად საჭიროა დიდი მუშაობის გაწევა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის ფართოდ დაყენება. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლას. სოფელში არსებობს ერთი სკოლა, რომელიც მეტად უვარგის [illegible]. მას სჭირია დიდი შეკეთება. შენობას ყველგან აწვიმს და ის ლპება. კედლები ყველა ჩამონგრეულია.

გასული სამოსწავლო წელი მეტად არასასურველად ჩატარდა. მთელი ზამთრის განმავლობაში სკოლაში ერთხელაც ცეცხლი არ დანთებულა, რადგანაც ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობით შეშის და ღუმელების საკითხი დროზე არ იქნა მოგვარებული. ან რა უნდა გაეკეთებინა ისეთ ადამიანს (ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარეს), რომელიც სოფელში სრულებით არ სცხოვრობდა და თვეში, ან უკეთეს შემთხვევაში, ორ კვირაში ერთხელ ამობრძანდებოდა ქალაქიდან თავის „სამფლობელოს“ დასათვალიერებლად. ყოველგვარი ხვეწნა და მუდარა სკოლის გამგისა მასთან რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სკოლის და საზოგადოდ სოფლის საქმეებისთვის მას დრო სად დარჩებოდა, როდესაც ერთი დღით ჩამოსული ისედაც ვერ ასწრობდა დუქნებში „ძმაბიჭებთან“ დროის ტარებას.

ამრიგად, მთელი ზამთარი ერთი ურემი შეშის და ერთი ღუმელის ანაბარა იყო სკოლა, სადაც ას ოცამდე ბავშვი სწავლობს და [illegible] მასწავლებელია. საშინელ [illegible] გადაიტანეს ბავშვებმა და მასწავლებლებმა. ასეთ პირობებში ნორმალური მეცადინეობა შეუძლებელი იყო.

ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედებით, ცხადია, ხსენებული თავმჯდომარე დიდხანს ვერ გასტანდა და, საბედნიეროდ, სათანადო ორგანომ მას თავისი შარა უჩვენა. ასე გათავდა ბ. [illegible]შვილის „თარეშობის“ ხანა, რომლის განმავლობაშიაც თემის კანცელარიის კარებს თვეობით ეკიდა მძიმე ბოქლომი.

საჭიროა [illegible] მიექცეს ჩვენს სკოლას სათანადო ყურადღება.

ნახახულევის თემი (ქუთაისის მაზრა)

1923 წელს 4 სექტემბერს გვესტუმრა ნახახულევის თემს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის სამალარიო ექსპედიცია ექიმ ზაქარია მაისურაძის ხელმძღვანელობით.

ნახახულევის თემში ციებ-ცხელება ძალიან მოდებულია, რის წყალობით ხალხი დაავადმყოფებულია და ფიზიკურად დასუსტებული. თუ არ გადაჭრილი ზომების მიღება, მას მოელის გადაშენება.

ექსპედიცია შეუდგა მოვალეობის ასრულებას. ის მუშაობდა განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდის, რომლის განმავლობაში იქნა გასინჯული და წამლებით დაკმაყოფილებული 325 მოქალაქე. მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ სამალარიო ექსპედიციამ მხოლოდ ნაწილი ავადმყოფებისა დააკმაყოფილა [illegible] 60 პროც., დანარჩენი 40 [illegible] რეობაში დარჩნენ. დარჩენილ ავადმყოფებს უნდა მიექცეს ყურადღება და აღმოეჩინოს დახმარება წამლებით.

მთავრობის ასეთმა მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებში. ნახახულევის თემს არ ახსოვს არც ერთ მთავრობის მიერ დღემდის ჯანმრთელობის დარგში დახმარების აღმოჩენა. ამისათვის გლეხები აღტაცებით ეგებებიან ასეთ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობა იცავს მუშების და ღარიბი გლეხ-კაცობის ინტერესებს.

გიტშვილი.

ტყუილს მოკლე ფეხი აგია

(პასუხის პასუხად პავლე გველესიანს)

შორაპნის მაზრის განათლების განყოფილების გამგე პ. გველესიანი გაზეთ „კომუნისტი“-ს 12 სექტემბრის № 209 ათავსებს თავის საპასუხო წერილს, რომლის მიზანია საზოგადოების თვალის ახვევა, საქმის მიფუჩეჩება. არ შევეხები ზოგიერთ უსაფუძვლო თავის მართლებას და დავასახელებ მხოლოდ რამოდენიმე მათგანს.

ის გვაუწყებს, რომ მან თავისი მეოხებით სკოლებით აუყვავებია მაზრის სხვა და სხვა თემებში მრავალი სოფლები. მე არ მომითხოვია მასთვის ანგარიში მოეცა თავისი მოქმედების შესახებ, მხოლოდ **ვასახელებდი ხარაგოულის თემს** და უსაყვედურებ დღესაც, რომ მას თვისი უხვი „ქველმოქმედების“ კალთის ყურეც კი არ გადმოუხრია ჩვენკენ.

ის მწუხარებით იხსენიებს სკოლის დარაჯებსაც და დასძენს, რომ მათი უმწეო მდგომარეობა მას უფრო ესმის. მერე რაში გამოიხატა, ამხ. პავლე თქვენი დახმარება? განა იმაში, რომ ერთ-ერთი სკოლის დარაჯი, რომელიც ადგილკომმა ურაფრით ვერ დაარწმუნა ჯამაგირების ხუთი თვით დაგვიანებაში და პირდათ მოგმართათ თქვენ, სასტიკათ „დაფაფხურების“ შემდეგ გამოაგდეთ? ასე უჩვენებთ თქვენ გზას არას მცოდნე სოფლის გლეხს, რომელიც ქვეითათ ფეხშიშველი, (ხარაგოულიდან ზესტაფონამდის) მოდის თქვენთან სიმართლის გამოსარკვევათ?

ქვევით, ის ეხება რა მასწავლებლებს, გვახარებს, რომ ის, ისე უწყობს მათ საქმეს, რომ მას მასწავლებლობა ყავს „დიდათ კმაყოფილი“. ეს „კმაყოფილება“ ამხ. პავლე, იცით თქვენ, ვხედავთ ჩვენც და შეამჩნევენ სხვებიც. დასასრულ თქვენ ეხებით ს—ლის სკოლის მასწავლებლებს. როგორც იქნა, თქვენმა ფეხ-აუცა ტყუილმა აქნამდის მოაღწია და კიდეც მოიმსხვრია თავისი კოჭლი ფეხი. მაგ. თქვენ ამბობთ თითქოს მასწავლებელს ჰქონდეს ასაღები 1922 წლის ენკენისთვის ჯამაგირი. ნუ იწუხებთ თავს, ვინაიდან მას მიუღებელი აქვს 1922 წლის არა ენკენისთვის, არამედ ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირები. მან ექვსჯერ გინახულათ ამ საქმისთვის და რომ თქვენზე ამ ამბავს ცოტა გავლენა მოეხდინა, ან ამ საქმის გარშემო ნაწარმოებ ქაღალდებში ეხლა მაინც გადაგეხედათ, ასეთ მტკნარ სიცრუეს აღარ წამოგვეროდით თავზე. ეჭვების გასაფანტავად (თუ ვისმე დაებადა ასეთი) დავმატებ, რომ ხსენებულმა მასწავლებელმა, ჯამაგირის მიუღებლობისათანავე მიმართა ჩვენი პ-კავშირის თავმჯდომარეს პ—ცემულ გრ. კვაშილავას, რომელმაც საკმაოთ სდია ამ საქმეს. ამის შემდეგ თვითონ განათლ. გან. სახელზე არის გაგზავნილი ხელახალი განცხადება იანვარში, რაიცა სჩანს ადგილკომის წიგნიდან და თქვენ უნდა იცოდეთ, ამხ. პავლე, რომ იანვარი არის წელიწადის არა მეთერთმეტე თვე, როგორც თქვენ ბრძანეთ, არამედ პირველი. მაგრამ თქვენ არ გაგიჩნიათ სიმართლის კოზირები და ვერც გასჭრით. დიახ, ვერც გასჭერით და ეხლა ნება მიბოძეთ კიდევ მიგაღებინოთ ერთი ბრალდება: იმ დროს როდესაც „დიდათ კმაყოფილი“ მასწავლებლობა ჯამაგირების მაგივრად უკან დაბრუნებულ ბილეთის ფულს ძლივს ღებულობენ, ამასთანავე კარებზე გამოკრული გაქვთ განცხადება „ავანსათ ფული არავის“-ო თქვენ, თქვენ ახლობელ მეგობრებს ორ-ორი თვის ჯამაგირს წინდაწინ უთავაზებთ ავანსის სახით. ეხლა გეკითხებით, თუ ვისთვისაა აკრული ასეთი შინაარსის განცხადება. უბრალო მომაკვდავთათვის, არა?

მერე ამის შემდეგ თქვენ კიდევ გინდათ თავი იმართლოთ?!

ჟანკან.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო! გთხოვთ უახლოეს ნომერში დამიბეჭდოთ შემდეგი განცხადება. მე, თამბაქოს ქარხნის მუშა, ვირიცხებოდი წევრათ რუსეთის სოც.-დემ. მენშევიკური პარტიისა 1904 წ.

ერთი წლის მათი ბატონობის დროს დავრწმუნდი მენშევიკურ ნაციონალისტურ-შოვინისტურ მოქმედებაში, მივატოვე ეს პარტია 1918 წ. მას შემდეგ ვდგევარ ყოველივე პარტიის გარეშე. ამ ხანი წლის განმავლობაში კომუნისტურ ხელისუფლების მოქმედებამ სრულიად დამარწმუნა, რომ მუშათა ინტერესების დამცველი ყოფილა და იქნება მხოლოდ კომუნისტური პარტია და ვთვლი მოვალეთ ყოველ სინდისიერ მუშას ხელი შეუწყოს მათ მოქმედებას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს 3 მე ინტერნაციონალს.

მუშა **ი. ჩოკოშვილი.**

მადლობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! ნება მოგვეცით გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კავშირთა-კავშირის“ გამგეობას და მოქ. ნესტორ გლახუნის ძე სიხარულიძეს, რომლებმაც აღმოუჩინეს დახმარება ჩოხატაურის საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტს:

პირველმა—300 მილ. მან., მეორემ—100 მილ. მან.

ჩოხატაურის საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **თ. ჩიჩუა.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

იუსტიციის სახალხო კომისარისა განსახორციელებლად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1923 წლ. აგვისტოს 17-ს გამოცემული დადგენილებისა

ამნისტიის შესახებ

აღსასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლ. სექტემბრის 6 № 60-ით გამოცემული დადგენილებისა ყველა სათანადო დაწესებულებამ მიიღოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად შემდეგი:

1. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამა წლის აგვისტოს 17-ს გამოცემული დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულს სრულიად გაანთავისუფლებს პატიმრობისაგან ან და მას პატიმრობის ვადას შეუმოკლებს აღნიშნული დადგენილების განმახორციელებელი კომისია მსჯავრდადებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის თვისებისა და მისგნით უკვე მოხდილი სასჯელის ვადის მიხედვით, ამასთანავე სასჯელის ვადის შემოკლების შემდეგ მსჯავრდადებულს უნდა ჩაეთვალოს სასჯელის ვადის ის ნაწილი, რომელიც მან უკვე მოიხადა.

2. დადგენილების 1 მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 101 მუხ. ხსენებული „ე“ პუნქტის შეფარდების [illegible] კომისიამ იქნობამდე, ვიდრე [illegible] აღნიშნული პუნქტის შენიშვნაში მოხსენებული ცირკულიარული განმარტება, უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ დადგენილებით, რომელიც სამისოდ გამოცემულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში.

3. დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ პირებზე ე. ი. მუშებსა და გლეხებზე, რომელთაც მსჯავრი დაედოთ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 143 და 144 მუხლში გათვალისწინებულ მოქმედებისათვის, უნდა გავრცელებულ იქნეს დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული წესი.

4. ამნისტიის მე-3 მუხლი უნდა გავრცელებულ იქნეს იმ მსჯავრდადებულ მუშებსა და გლეხებზე, რომელთაც სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ისეთი დანაშაულისათვის, რისთვისაც დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვით ან ერთ წლამდე (არა უმეტეს), სასამართლოს განაჩენით გადაეწყვიტათ თავისუფლების აღკვეთა არა უმეტესს ექვსი თვისა, და რომელთაც უკვე მოუხდიათ ამ ვადის ერთ თვეზე მეტი, ამასთანავე თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვით უნდა წარმოადგენდეს მინიმალურ სასჯელს, ე. ი. სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული მოქმედებისათვის სხვა ამაზე ნაკლებად მძიმე სასჯელი არ უნდა იყოს გათვალისწინებული.

5. ყველა სასამართლო დაწესებულებამ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების და ამა ინსტრუქციის გამოქვეყნებისთანავე, დაუყოვნებლივ, უნდა გადუგზავნოს სოციალისტური საბჭოს რესპუბლიკების კავშირის ამა წლის აგვისტოს 17-ის ამნისტიის შემფარდებელ კომისიას ყველა განხილული საქმე, სადაც აღნიშნული ამნისტია უნდა შეფარდებულ იქნეს.

6. წინასწარ გამოძიებაში ან სასამართლოს წარმოებაში მყოფი და ამნისტიის მე-4 მუხ. ძალით მოსასპობი საქმე უნდა მოსპობილ იქნეს. სახელდობრ: საქმე, რომელიც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 4 სესიაში მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 233 მუხლის წესით იმყოფება სასამართლოს წარმოებაში; საქმე, რომელიც იმავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203,226 და 235 მუხლების წესით იმყოფება წინასწარ გამოძიებაში.

7. საგანგებო კომისიის ორგანოთა წინასწარ წარმოებაში მყოფი და ამნისტიისის მე 4 მუხ. ძალით მოსასპობი საქმე უნდა მოსპობილ იქნეს იმ კომისიის მიერ, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამნისტიის განხორციელების შესახებ დადგენილებაში; წინასწარი წარმოების ორგანოებმა ამავე კომისიას უნდა წარუგზავნონ წინასწარ წარმოებაში მყოფი ყველა ხსენებული საქმე.

8. ამნისტიის მე-4 მუხლი გავრცელებულ იქნეს ამა დადგენილების 1 მუხლის „ვ“, „გ“, „დ“ პუნქტებში აღნიშნულ ყველა იმ პირზე, რომელსაც დანაშაული ჩაუდენია ხსენებულ პუნქტებში დაწესებულ ვადამდე.

იუსტიციის სახალხო კომისარი:
ი. ვარძიელი.
1923 წ. სექტემბრის „12“.
ქ. ტფილისი.

დადგენილება

იუსტიციის სახალხო კომისარისა.

„სასამართლოში საქმეების დამცველთა“ შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილების განხორციელების შესახებ.

შესასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. 4 სექტემბრის დადგენილებისა „სასამართლოში საქმეების დამცველთა შესახებ“, იუსტიციის სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა:

1. ამა წლის ოცი სექტემბრიდან გაუქმებულად გამოცხადებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან არსებული დამცველთა კოლეგია.

2. კომისიამ, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი იუსტიციის სახალხო კომისარიატისა (როგორც კომისიის თავმჯდომარე), სახალხო მოსამართლეთა საბჭოსი და აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალისა, მიიღოს დამცველთა კოლეგიის ეხლანდელ პრეზიდიუმისაგან საქმის წარმოება და საფინანსო ანგარიში, და გადასცეს იგი დამცველთა სათანადო კოლეგიების პრეზიდიუმებს, მათი დაარსების შემდეგ.

3. იგივე კომისია, დამცველთა ეხლანდელი კოლეგიის დათხოვნის შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუდგეს განცხადებათა მიღებას იმ პირთაგან, ვისაც სურს შევიდეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსთან არსებულ დამცველთა კოლეგიაში ქალ. ტფილისში.

4. ასეთივე კომისია შესდგება ქ. ქუთაისში დასავლეთ საქართველოს ტრიბუნალის წარმომადგენლისა (როგორც კომისიის თავმჯდომარის) და ორი ადგილობრივი სახალხო მოსამართლისაგან, რომელთაც იუსტიციის სახალხო კომისარი დანიშნავს, კომისიამ უნდა მიიღოს განცხადებანი იმ პირთაგან, ვისაც სურს შევიდეს ქუთაისში დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსთან არსებულ დამცველთა კოლეგიაში.

5. კომისიები მას შემდეგ, როდესაც განცხადებას მიიღებენ და როდესაც იმათგან, ვინც განცხადება წარადგინა და ვინც შეესაბამება პირობებს, აღნიშნულ საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაში („სასამართლოში საქმეების დამცველთა შესახებ“) შეადგენენ დამცველთა სიებს ტფილისისათვის—არა ნაკლებ 30 კაცისა და 10 კანდიდატისა, ხოლო ქუთაისისთვის—არა ნაკლებ 20 კაცისა და 5 კანდიდატისა, რომელნიც კომისიის აზრით შეიძლება ჩაირიცხნენ დამცველთა კოლეგიაში, ეს სიები დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ იუსტიციის სახალხო კომისარს.

6. როდესაც იუსტიციის სახალხო კომისარი დაამტკიცებს დამცველთა პირველ შემადგენლობას, 30 კაცზე არა ნაკლებს ტფილისისთვის და 20 კაცზე არა ნაკლებს ქუთაისისთვის, კომისიებმა ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით უნდა მოიწვიონ აღნიშნული დამცველების საერთო საზოგადო კრებები ქ. ტფილისში და ქ. ქუთაისში [illegible] პრეზიდიუმის ასარჩევად ერთი წლის ვადით, პრეზიდიუმი უნდა შესდგებოდეს 3-დან 7 კაცამდე.

7. შემდეგში დამცველთა კოლეგიის წევრების მიღება ხდება საზოგადო დებულებათა ძალით.

8. დამცველთა ძველი კოლეგიის წევრებს ნება ეძლევათ დაამთავრონ ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე საწარმოებლად მიღებული საქმეები, ხოლო შემდეგ, უკეთუ ისინი დამცველთა ახალ სიებში არ იქნებიან ჩარიცხულნი, ერთმევათ დამცველთა კოლეგიის წევრისთვის მინიჭებული უფლება ახალი საქმის წარმოებისა.

9. განცხადების მიმღებმა კომისიებმა სათანადოთ უნდა გამოაქვეყნონ დამცველთა კოლეგიის წევრებად მიღება, თანაც აღნიშნონ პირობები, რომელთაც უნდა შეეფერებოდეს ის, ვისაც სურს კოლეგიაში წევრად შევიდეს და დრო განცხადების შეტანისა.

10. მთელი მუშაობა დამცველთა ძველი კოლეგიის დათხოვნის და ახალი კოლეგიების შესაქმნელად უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ამა წლის 1 ოქტომბრისა.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. **ვარძიელი.**

სასამართლოს მომწ. განყოფ. გამგის მაგიერ **როინიშვილი.**
8 სექტემბერი, 1923 წ.
ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი

ერთიან საკავშირო დღეს
წინადადებას იძლევა
ორშაბათს, სექტემბრის 24-ს, უჯრედებში გაიმართოს მოხსენება
„საქართველოს კომუნისტ ახალგაზრდათა კავშირის სრულიად საქართველოს მე 6 ყრილობა“

საქართ. კომუნისტ. ახალგაზ. კავშირის პასუხისმგებელი მდივანი **ლომინაძე.**

განცხადებები

ჭიათურის სამაზრო აღმასკომის და კომუნალური განყოფილების მუშა-მოსამსახურეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, რომ 19 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი და გულწრფელი მუშაკი და კომპარტიის წევრი

დათიკო დიმიტრის ძე ხელაევი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 სექტემბერს, ქ. ჭიათურაში.

კრ. 1220—1—1

ალექსანდრა მიხეილის ასული გამრეკელისა შვილებით: ნიკოლოზით, გულბაათით, ვახტანგით და დავითით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 23 სექტემბერს 1923 წ. გადახდილ იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ძვირფასი და დაუვიწყარი ქმრის და მამის

ნიკოლოზ გრიგოლის ძე
გამრეკელის

სულის მოსახსენებლათ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი 10 საათ. პანაშვიდის 11 ნახ. საათზე, მიცვალებულის საფლავზე.

კრ. 1223—1—1

ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელსადგურის აგების მუშაობათა სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 ოქტომბრისათვის
დანიშნულია შეჯიბრება
ტეხნიკურ პერსონალისათვის არხის სათავეში მუდმივ ქვის შენობის აგების ნარდათ აღების შესახებ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალით ხოლო მონარდის ხელსაწყოთი.

სამუშაოს შესრულების ვადა—ოთხი თვე.

იმ პირებს, რომელსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტში დაწესებული თეთრანიმუშზე (ბლანკზე) წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 1 ოქტ. შეჯიბრებისათვის“. ამავე დღეს გაიხსნება კონვერტები.

დაწვრილებითი პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღეს 10—12 საათამდე ქ. ტფილისში ლ. დუმბაძის ქ. (ყოფილი ველიამინოვის) აქედანვე გაიცემა დაწესებული თეთრა-ნიმუშები განცხადებისათვის.

სამუშაოს უფროსის თანაშემწე ბიბო კიკნაძე.

კრ. 623—2—1

ელექტრონის სინათლის [illegible]
სამკურნალო
[illegible]
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
[illegible] ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible]
ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] **ექ. სვიმონ ჟიჟიძის** [illegible]
[illegible] № 10.
(501—35—21)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში
მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე
კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**
0—42

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი მიღებული აჭარის სამხ. კომისარიატიდან ევგენი მაქსიმეს ძე წულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან ტალიდ მუსა-ოღლი მამედოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1221—1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ კრეზენშტეინის ქ. № 4